საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 18 ოქტომბერი, 2014 წელი.

№213 (7594)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

იმისთანა წმინდა საქმეში, რომლიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცეილებით და ჭირებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



არაღიარებული რესპუბლიკები,

ანუ წამმზომზე ჩართული ბომბები

4

ჯიჰადი – სერიოზული ისლამისტური გამოწვევა

5

საქართველოს პატრიარქი კვიპროსში გაემგზავრა

როგორც პროტოპროსვიტერმა გიორგი ზვიადაძემ განაცხადა, უწმინდესი კვიპროსზე თანხმლებ პირებთან ერთად კვიპროსის მართლმადიდებელი ეკლესიის მთავარეპისკოპოსის, მისი უნეტარესობა ქრიზოსტომოს II-ის მიწვევით გაემგზავრა. მან ვიზიტის დეტალებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ვიზიტის შესახებ მოსახლეობა ინფორმირებული უნდა იყოს, რადგანაც იგი მნიშვნელოვან შეხვედრებს მოიცავს.

დაგეგმილია შეხვედრა კვიპროსის ეკლესიის მეთაურთან, უნეტარეს ქრიზოსტომოს II-სთან. შემდეგ დაგეგმილია ოფიციალური სადილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის პატივსაცემად, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ კვიპროსის პრეზიდენტი, საგარეო საქმეთა მინისტრი და განათლებისა და კულტურის მინისტრი.

გიორგი ზვიადაძის განცხადებით, 19 ოქტომბერი წმინდა ლაზარეს წმინდა ნაწილების ამობრძანების დღეა. ამასთან დაკავშირებით ლარნაკას წმინდა ლაზარეს ტაძარში გაიმართება ერთობლივი წირვა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ილია მეორე, საქართველოს დელეგაციის მღვდელმთავრები და სასულიერო პირები.

20 ოქტომბერს დაგეგმილია კიკოსის ღვთისმშობლის სახელობის მონასტრის მოლოცვა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეწვევა მონასტერს და იქ პარაკლისს გადაიხდის.

21 ოქტომბერს დაგეგმილია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის და დელეგაციის წევრების სტუმრობა ღალიის ქართულ სამონასტრო კომპლექსში. პატრიარქი ახლად აღდგენილ სამონასტრო კომპლექსს დაათვალიერებს. იქ აღსრულებული სასულიერო პირებისა და ქტიტორების სულის მოსახსენიებლად პანაშვიდს გადაიხდის, ასევე შესრულდება პარაკლისი.

პატრიარქი საქართველოში 22 ოქტომბერს დაბრუნდება.

„ზუგდიდში ძირითადად ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები მუშაობენ“

2

◎ დღის ამოჭრაზურიდან

ბრალდებული სააკაანთ ბიჭი გულისტკივილით გვადევნებს თვალყურს

— ეს სააკაანთ ბიჭი სულ უფრო და უფრო ემსგავსება იმ ძაღლს, შინ რომ არ ვარგოდა და სანადიროდ გარბოდა. ამჯერად აკი ამერიკაში ემალება კანონს და თურმე გული სტკივა იმის გამო, რაც საქართველოში ხდება. საქართველოში კი, მართალია, ჯერ-ჯერობით ცოტა, მაგრამ მაინც კარგი ამბებიც ხდება, რაც, როგორც ჩანს, გულს უკლავს ექს-პრეზიდენტს, როგორც ახალი ხელისუფლების ავისმსდომს.

— ეგ, გენაცვალე, ძველი და ცნობილი ამბავია, როცა მტერი გულისტკივილით გადევნებს თვალყურს, მაშასადამე, შენი საქმე არცთუ მთლად ცუდად არის.

— ხოლო, თუ რამ ცუდად არის, ისევ და ისევ მაგ შუმი ნაციონალების, მაგ გაბაშვილების, ბარამიძეების, მინაშვილების, დარჩიაშვილების, თარგამაძეების, კანდელაკების, წერეთლების, თაქთაქიშვილების, ნადირაშვილების და კიდევ ბევრ სხვათა ბრალია, რომელნიც კრიჭაში უდგანან ისედაც, ცოტა არ იყოს, თავისი თავის საზიანოდ გალიბერალებულ ხელისუფლებას და ორგანიზებულად ცდილობენ ქვეყანაში ქაოსის შექმნას, რაც მკვდრეთით აღდგომის ნიადაგად სჭირდებათ.

— აშკარაა, „ოცნებას“ ნაციონალების მიმართ ამჟამინდელი ლიბერალურ-ლოიალური პოლიტიკა არ გამოადგება. უკვე დროა, მთავრობამაც და პარლამენტმაც რომ კანონმდებლობის დონეზე სერიოზულად იმსჯელონ და ნაციონალური პარტია, როგორც ორგანიზებული ანტისახელმწიფოებრივი, ცრუ ოპოზიციური ძალა, რომელიც წარსულში მრავალ დანაშაულშია მხილებული, ხოლო ამჟამად მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის წინსვლის დამუხრუჭებით არის დაკავებული, აიკრძალოს და გასამართლდეს.

ჯვრისძის სტატისტიკა

სამი ურიელი და ერთადერთი ივდითი

7

სურიდან „წმინდა მიწა“



9

ბეთლემი და გეთსემანია

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ჩვენი მიზანი არის საქართველოს გამთლიანება და გაძლიერება

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ეგრისობის დღესასწაული აღდგენილია და ამიერიდან ის ტრადიციული გახდება. ამის შესახებ ირაკლი ღარიბაშვილმა სენაკში, ეგრისობის დღესასწაულისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

პრემიერის განცხადებით, იმ ადგილს, სადაც ამჟამად იმყოფებიან, უდიდესი სიმბოლური დატვირთვა აქვს და უახლესი ისტორიის ფონზე ის კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს.

„ქუჯის ციხე საქართველოს სახელმწიფოებრივი გამთლიანების სიმბოლოა ჩვენთვის. ჩვენმა დიდმა, სახელოვანმა წინაპრებმა სწორედ აქ ჩაუყარეს საფუძველი ერთიანი, ძლიერი საქართველოს სახელმწიფოს ჩამოყალიბების იდეას.

ჩვენი ფარნავაზ მეფის და ეგრისის და სვანეთის ერისთავის ქუჯის გადაწყვეტილება იყო პატრიოტული, უდიდესი სახელმწიფოებრივი აზროვნებით განპირობებული პროგრესული პოლიტიკური ნაბიჯი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა და საფუძველი დაუდო ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. ეს იყო უმნიშვნელოვანესი ეტაპი საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიაში. ეგრისობის დღესასწაული არ არის მხოლოდ ერთი კუთხის ზეიმი, ეს არის ჩვენი ხალხის ისტორიულ მეხსიერებაში დალექილი, ერთად ყოფნის სურვილი. შემთხვევითი არ არის, რომ ამ დღესასწაულის გასამართად სწორედ ციხე-გოჯი შეირჩა. ეს არის ადგილი, რომელიც ყოველთვის გვახსენებს უდიდეს ისტორიულ მოვლენას და შეგვახსენებს ჩვენ, ქართველებს, რა ძალა აქვს ერთობას, თანადგომას და მხარდაჭერას საერთო მიზნის მისაღწევად“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისი თქმით, დღესაც, როგორც ბევრჯერ, საქართველოს ისტორიის განმავლობაში ჩვენს სამშობლოს, ჩვენს სახელმწიფოს სჭირდება საკუთარი ხალხის ერთიანობა.

„ჩვენი მიზანიც არის საქართველოს გამთლიანება, გაძლიერება და ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობა ერთიან ძლიერ საქართველოში. ჩვენ ყველამ ერთად უნდა ავაშენოთ ძლიერი, ევროპული ტიპის, თანამედროვე და განვითარებული სახელმწიფო. ჩვენს ხალხს აქვს ამის პოტენციალი. ჩვენი ხალხი ამას იმსახურებს, ამიტომ, ჩვენმა მთავრობამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ თითოეულ მოქალაქეს შეუმნას ღირსეული პირობები, განვითარების პირობები იმისათვის, რომ ჩვენი ნიჭიერი ერი განვითარდეს, გაძლიერდეს და სრულად გამოიყენოს თავისი უზარმაზარი პოტენციალი“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა მოსახლეობას პირობა მისცა, რომ თითოეული ადამიანი ძალიან მალე იგრძნობს და დაინახავს სასიკეთო ძვრებს.

* * *

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ზუგდიდში თხილის გადამამუშავებელ ახალ საწარმოს, „ანკა ფეა ტრეიდს“ ეწვია.

პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, მთავრობის მეთაური საწარმოში სამუშაო პროცესს გაეცნო და დასაქმებულებს გაესაუბრა.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილს საწარმოში შეკრებილმა ფერმერებმა განუცხადეს, თხილზე წელს რეკორდულად მაღალი ფასი — 8,75 ლარი დაფიქსირდა, მაშინ, როდესაც გასულ წლებში ფასი 3 ლარს არ აღემატებოდა.

„ეს არის სანიმუშო ქარხანა, სადაც წარმოჩენილია სახელმწიფოსა და კერძო სექტორის თანამშრომლობა. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო კომპანიის დამფუძნებლებს და ასევე ფერმერებს, რომლებიც ჩართული არიან ამ პროგრამაში. სახელმწიფოსთან ერთად კერძო სექტორის აქტიურობა ძალიან მნიშვნელოვანია. სახელმწიფოს ხელშეწყობით კეთდება ის, რომ მსგავსი წარმატებული პროექტები თვალსაჩინოა. აღსანიშნავია, რომ ეს არის შვეიცარიული ინვესტიცია, რომელიც სახელმწიფოს ხელშეწყობით განხორციელდა“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ახალი საწარმო დაფინანსებულია სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტით. პროგრამის დახმარებით საწარმომ 600 000 დოლარის სესხი ახალი თხილის გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობისთვის აიღო.

შვეიცარიულმა კომპანიამ საკუთარი სახსრებით დამატებით 400 000 დოლარის ოდენობის ინვესტიცია განახორციელა. საწარმოში, რომელიც 2014 წელს აშენდა, მუდმივად დასაქმებულია 20 ადამიანი, სეზონზე კი დასაქმებულთა რაოდენობა 120-მდე გაიზრდება.

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ხობში სასათბურე მეურნეობა „თაღლაურას სათბური“ დაათვალიერა, რომელიც ნახევარ ჰექტარ ფართობზეა გაშენებული.

პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, სათბური აღჭურვილია მაღალტექნოლოგიური სარწყავი სისტემით. საწარმოში განხორციელებული ინვესტიციის მოცულობა 1 მილიონ ლარს შეადგენს.

„ჩვენი მთავრობა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს სოფლის მეურნეობის განვითარებას, მაშინ, როდესაც წინა ხელისუფლებამ საკაშვილი-ბენდუქიძის იდეოლოგიის პირობებში პრაქტიკულად გაანადგურა სოფლის მეურნეობა და მიზანმიმართულად გააღატაკა სოფელი“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, სათბური აღჭურვილია მაღალტექნოლოგიური სარწყავი სისტემით. საწარმოში განხორციელებული ინვესტიციის მოცულობა 1 მილიონ ლარს შეადგენს.

„ჩვენი მთავრობა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს სოფლის მეურნეობის განვითარებას, მაშინ, როდესაც წინა ხელისუფლებამ საკაშვილი-ბენდუქიძის იდეოლოგიის პირობებში პრაქტიკულად გაანადგურა სოფლის მეურნეობა და მიზანმიმართულად გააღატაკა სოფელი“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, სათბური აღჭურვილია მაღალტექნოლოგიური სარწყავი სისტემით. საწარმოში განხორციელებული ინვესტიციის მოცულობა 1 მილიონ ლარს შეადგენს.

„ჩვენი მთავრობა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს სოფლის მეურნეობის განვითარებას, მაშინ, როდესაც წინა ხელისუფლებამ საკაშვილი-ბენდუქიძის იდეოლოგიის პირობებში პრაქტიკულად გაანადგურა სოფლის მეურნეობა და მიზანმიმართულად გააღატაკა სოფელი“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, სათბური აღჭურვილია მაღალტექნოლოგიური სარ-

ერთი სასათბურე მეურნეობა, ქართულ-ებრაული 30-მილიონიან ინვესტიციას წარმოადგენს და იქ 500 ადამიანი დასაქმდება. ეს ქმნის უზარმაზარ პოტენციალს და რეგიონისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. სოფლის მეურნეობა წლების განმავლობაში არ იყო პრიორიტეტი“, — განმარტა პრემიერმა.

„ნახევარ მილიონზე მეტით დავაფინანსეთ ეს საწარმო. შვეიცარიულმა კომპანიამ დამატებით მილიონ 400 ათასის ოდენობის ინვესტიცია განახორციელა. სამეგრელოში წელს თხილის ძალიან დიდი მოსავალია, თხილის ფასი საგრძნობლად გაზრდილია და უკვე რეალიზებულია 170 მილიონი ლარის ღირებულების თხილი. ჩვენ კიდევ დამატებით 30-40 მილიონი ლარის ღირებულების თხილის რეალიზაციას ველოდებით. წელს ჯამში 200 მილიონი ლარის ღირებულების თხილის რეალიზაცია განხორციელდება, რაც სამეგრელოს რეგიონის მოსახლეობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ეს დამატებით მოტივაციას გაუჩენს ადამიანებს“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, წელს 160 მილიონი ლარი შევიდა კახეთის რეგიონში, 200 მილიონი შევა სამეგრელოში, რაც ადგილობრივ ფერმერებს მისცემს დამატებით მოტივაციას, რომ გააშენონ მეტი თხილის პლანტაციები, კახეთში კი - გააშენონ ვენახი.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიში მშენებარე მაღალტექნოლოგიური სასათბურე მეურნეობა „Stimor Associates“ დაათვალიერა.

როგორც მთავრობის მეთაურს სასათბურე მეურნეობის მფლობელმა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა განუმარტეს, მშენებლობა სოფელ ცაიში 2014 წლის ივნისში დაიწყო და პირველი ეტაპი ნოემბერში დასრულდება.

ინვესტორი 3 ჰექტარ ფართობზე გაშენებული სასათბურე მეურნეობის გაფართოებას და 5 წლის განმავლობაში 30 ჰექტარი ფართობის ათვისებას გეგმავს.

პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, ობიექტზე 500-მდე ადამიანი დასაქმდება, ხოლო ინვესტიციის მოცულობა 30 მილიონი დოლარია.

◎ დაფასება

პრემიერმა ვეტერანებს ვეტერანის დღე მიულოცა

„ჩვენ ძალისხმევას არ დავიშურებთ იმისათვის, რომ ჩვენი სახელოვანი ვეტერანები იყვნენ სათანადოდ დაფასებულნი და მათი ცხოვრების პირობები იყოს ღირსეული. მჯერა, სამშობლოს წინაშე მათი თავდადება უკვალოდ არ ჩაივლის, და ჩვენ, ყველანი ერთად, მივაღწევთ იმას, რომ საქართველო გამთლიანდება, ფეხზე დადგება და სულ მალე ისეთი ქვეყანა გვექნება, როგორზეც ჩვენი დიდი წინაპრები ოცნებობდნენ“, — აღნიშნავს პრემიერ-მინისტრი ვეტერანებისადმი მიძღვნილ მილოცვაში.

ვეტერანთა დღესთან დაკავშირებით, თბილისის მერმა დავით ნარმანიამ დენდროლოგიურ პარკში, სადაც „ვეტერანთა პარკი“ გაშენდება, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში დაღუპული გმირების სახელობითი ხეები მთავრობის წევრებთან ერთად დარგო.

◎ SIC!

„ზუგდიდში ძირითადად ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები მუშაობენ“

ამჟამად ზუგდიდში მთავარი სალაპარაკო თემა, ოთხსავე საჯარო სტრუქტურაში: რაიონის გამგეობა- საკრებულოსა და, ქალაქის მერია-საკრებულოში განხორციელებული საკადრო ცვლილებებია. ამ უზომოდ გაბერილ თანამდებობებზე მრავლად არიან ნაციონალური მოძრაობის წევრები და აქტივისტები. ახლა „ოცნების“ და ნაცების წარმომადგენლები, რომლებიც სამკვდრო-სასიცოცხლოდ იყვნენ ერთმანეთთან გადაკიდებულნი, ერთმანეთის მხარდამხარ „იღვწიან“ მშობლიური რეგიონის ასაღორძინებლად“, თუმცა, აღმოჩნდნენ ისეთი პიროვნებებიც, რომლებმაც ნაცებთან კოჰაბიტაციას თანამდებობის დატოვება არჩიეს. ერთ-ერთი მათგანია „ქართული ოცნების“ აქტივისტი გიორგი სალია, რომელიც ქალაქის მერიაში ზედამხედველობის სამსახურის მონიტორინგის განყოფილებას ხელმძღვანელობდა.

— ბატონო გიორგი, რამ გადაგაწყვეტინათ თანამდებობის დატოვება?

— „როდესაც „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში, მუშაობა დავიწყე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, სადაც თითქმის ყველა ნაციონალი იყო. იქ ვიმუშავე გამგეობის ლიკვიდაციამდე, რაც გამოიწვია ზუგდიდის ორ ნაწილად დაყოფამ. ჩვენ იმედი გვქონდა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ თანამდებობებზე მოვიდოდნენ „ქართული ოცნების“ აქტივისტები, მაგრამ მოხდა პირიქით — ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობაში.ყველა ძველი თანამშრომელი, ანუ ნაცები აღადგინეს თანამდებობებზე — მე თამაშგარე მდგომარეობაში დამტოვეს. ამის შემდეგ ზუგდიდის მერიაში დავიწყე მუშაობა. ირაკლი გოგოხიას (ქალაქის მერს) ახლოს არ ვიცნობდი, რადგან ის არასოდეს არ ყოფილა „ქართული ოცნების“ აქტივისტი. ორი თვე ვიმუშავე, გავძელი, მანამდე სანამ სამსახურის უფროსმა ნუკრი ესართიამ, რომელიც ასევე არ იყო ჩვენი თანამებრძოლი, კახა მიქაიასთან ურთიერთობა ამიკრძალა. კახა მიქაიას ბავშვობიდანვე ვიცნობ, როგორც მართალ კაცს, ამიტომაც სოციალურ ქსელში ვიზიარებდი მის მოსაზრებებს. მის სასარგებლოდ „პოსტების“ დადებამ გოგოხიასა და ესართიას გაღიზიანება გამოიწვია — „კახა ჩვენ გვლანძღავს და შენ კი მის მოსაზრებებს იზიარებო. თუ ასე გაგრძელებ, სამსახურიდან გაგანთავისუფლებთო“, ამიტომაც მათ ყურმოჭრილ მონად გახდომას სამსახურიდან წასვლა ვარჩიე.“

— თქვენი წასვლა სამსახურიდან მერიაში მომუშავე ნაციონალთა სიმრავლემ გამოიწვია?

— დიახ. ყველაფერი ერთმანეთს დაემატა — ჩემი იმედები არ გამართლდა — ჩემი თანამებრძოლების ნაცვლად მერიაში მოიყვანეს ისეთი ადამიანები, რომლებიც მიხეილ სააკაშვილის მზეს ფიცულობდნენ, მათ შორის არიან ასევე როლანდ ახალაიას შტაბის წევრები...

ერთი სიტყვით, ამჟამად ზუგდიდში ხელისუფლებაში მომუშავეთა 80-85% ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები არიან“

— „ქართული ოცნება“ თუ აქტიურობს ზუგდიდში?

— როგორც პარტია „ქართული ოცნება ზუგდიდში არ ფუნქციონირებს, სად მივიდნენ, სად მიაკითხონ „ქართულ ოცნებას“, მოსახლეობამ არ იცის, ამიტომაც აუცილებლად მიმაჩნია „ოცნების“ გააქტიურება. პარტია უნდა გაძლიერდეს, სხვანაირად სადავეები შეიძლება მოძალადე ნაცებმა აიღონ.“

— როგორც ვიცით, ახლა დასაქმებულნი ადგილობრივ თვითმმართველობებში დროებით მოვალეობების შემსრულებლები არიან, მათ უნდა გაიარონ ტესტირება, გასაუბრება. თუ გაქვთ იმედი, რომ ეს პროცესი რამეს შეცვლის?

— რა თქმა უნდა, არაფერს არ შეცვლის. რატომ გაიხადეს საქმე სათუოდ, ხომ შეიძლებოდა თავიდანვე ღირსეული კანდიდატები დაენიშნათ და არა ნაცების წარმომადგენლები...

— სამსახურიდან წასვლა პროტესტის ერთგვარი ფორმაა, ხომ არ აპირებ მიმართო პროტესტის უფრო სხვა — მკაცრ ფორმას?

— რა თქმა უნდა, ვაპირებ. მე მყავს ძალიან ბევრი თანამშრომელი „ქართული ოცნებიდან“, რომლებიც გვერდში დამიდგებიან, პირველ რიგში ხმას მივაწვდენთ ცენტრალურ ოფისს. დიდი იმედი მაქვს ახალი აღმასრულებელი თავმჯდომარის ზვიად ჯანყარაშვილის. ველოდებით მისგან რეაგირებას. წინააღმდეგ შემთხვევაში — ყველა საშუალებით ვეცდებით, ვაიძულოთ ედიშერ თოლორაია და ირაკლი გოგოხია (როგორც არჩეული გამგებელი და მერი პირადად მათთან პრეტენზიები არ გვაქვს) — დაითხოვონ, სამსახურიდან ის პიროვნებები რომლებიც ჩვენ გვებრძოდნენ და გვაფურთხებდნენ.“

ლადო ქირია,
ზუგდიდიდან.

◎ უნამუსობის სართულები

დაპატიმრებულია „ოლიმპიური ვარსკვლავის“ დირექტორი

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ოლიმპიური ვარსკვლავის“ თავმჯდომარე და შპს „ოლიმპიური ვარსკვლავის“ დირექტორი ზაზა რაზიკაშვილი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

უწყების ინფორმაციით, ზაზა რაზიკაშვილი ბრალდებულის სახით, სისხლის სამართლის პასუხისგებაში „ოლიმპიური ვარსკვლავის“ წევრების კუთვნილი, დიდი ოდენობით თანხის სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მართლსაწინააღმდეგო მითვისების ფაქტზე მიეცა.

„საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ ზაზა რაზიკაშვილმა 2006-2010 წლებში, მოქალაქეთა მიერ საცხოვრებელი და კომერციული ფართების შეძენის სანაცვლოდ, შეტანილი თანხის მხოლოდ ნაწილი მოახმარა ქ.თბილისში, შარტავას ქუჩაზე მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობას, რომელიც დღესაც დაუსრულებელია, ხოლო 14 800 000 ლარის ოდენობით ფულადი თანხა მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისა, რითაც 100-ზე მეტ მოქალაქეს დიდი ოდენობით ქონებრივი ზიანი მიაყენა“, — აცხადებენ უწყებაში.

სამშენებლო კომპანია „ოლიმპიური ვარკვლავის“ ერთ-ერთი დამფუძნებლის ლელა რაზიკაშვილის განმარტებით, თანხა, რომლის გამოც კომპანიის დირექტორი ზაზა რაზიკაშვილი პასუხისგებაში მიეცა, წინა ხელისუფლების მიერ დაკისრებული პოლიტიკური ვალია.

როგორც რაზიკაშვილმა განაცხადა, ნაციონალურმა მოძრაობამ „ოლიმპიური ვარსკვლავი“ ვალებში ხელოვნურად ჩააგდო. მისივე თქმით, ამჟამად გარკვეული დაინტერესებული პირების მხრიდან ბრძოლა შარტავას ქუჩაზე მდებარე „ოლიმპიური ვარკვლავის“ ობიექტის ხელში ჩაგდების მიზნით მიმდინარეობს.

როგორც რაზიკაშვილი აცხადებს, პასუხისმგებლობას არავინ გაურბის და სამართლებრივ პროცესში გაირკვევა, როგორ ჩავარდა კომპანია ხელოვნური გაკოტრების მდგომარეობაში, წარდგენილი იქნება დოკუმენტაცია და დადგინდება სიმართლე, მშენებლობა კი, გაგრძელდება.

— ალბათ გახსოვთ, წინასაარჩევნო პერიოდში, როგორც კი ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ზვიად ზვიადაურმა „ქართულ ოცნებაში“ გაერთიანების შესახებ განცხადება გააკეთა, შემოცვივდნენ და კომპანიას 27-მილიონიანი ჯარიმა დააედეს. ამ დრომდე ვერ მოხდა ჯარიმების საკითხის ბოლომდე განხილვა და საბუთების შესწავლა. მთელი ეს ბაკქანალია ჯერ კიდევ ვერ მოწესრიგდა და ვერ მოხდა პოლიტიკური ვალის ჩამოწერა. ამის გამო ვერ დაიძრა მშენებლობა, რითაც რამდენიმე დაინტერესებულ ადამიანს საფუძველი მიეცა, რაღაც იდეები გასჩენოდათ. ამჟამად ამხანაგობაში ორი ჯგუფი მუშაობს: ერთი მშენებლობის გაგრძელებისთვის იბრძვის — ჩატარდა აუდიტი და შესაბამისობაში მოვიდა ახალი არქიტექტურული პროექტი. მეორე, მცირე ჯგუფი ქალბატონ დალი ჩანტლაძის მეთაურობით, რომელიც ნარკოტიკის გადაზიდვის გამოა ნასამართლევი, მართავს მიტინგებს და აქვთ სქემა, რომ ზაზა რაზიკაშვილი თავიდან მოიშორონ და ამხანაგობის ქონება ხელში ჩაიგდონ. მიცვივდნენ საგამოძიებო პოლიციაში, პროკურატურაში, რათა საქმე აღძრულიყო, — განაცხადა ლელა რაზიკაშვილმა.

◎ ალიანჩალიანი

ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტში მონაწილეობის სურვილს ყაზახეთი და ავღანეთი გამოთქვამენ

ამის შესახებ აზერბაიჯანის ტრანსპორტის მინისტრმა ზია მამედოვმა განაცხადა.

მისივე თქმით, პროექტში მონაწილეობა სხვა ქვეყნებსაც შეუძლიათ.

„მიუხედავად იმისა, რომ „ბაქო-თბილისი-ყარსის“ მშენებლობის ხელშეკრულების მონაწილეები საქართველო, აზერბაიჯანი და თურქეთი არიან, სხვა ქვეყნებსაც შეუძლიათ შეუერთდნენ პროექტს“, — განაცხადა აზერბაიჯანის ტრანსპორტის მინისტრმა.

ზია მამედოვის თქმით, წლის ბოლომდე ბაქო-თბილისი-ყარსის მაგისტრალზე სასტარტო მატარებლები გავა, პროექტი კი 2015 წელს სრულად დასრულდება.

ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტის განხორციელება 2007 წელს დაიწყო, მშენებლობა კი — 2008 წელს. პროექტი ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიაზე მარაბდა-ახალქალაქის სარკინიგზო ხაზის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციას და ახალი, 98 კმ-იანი სარკინიგზო ხაზის მშენებლობას ყარსი-ახალქალაქის მონაკვეთზე. გზის 68 კმ. თურქეთის ტერიტორიაზე გაივლის, 30 კმ. კი საქართველოს ტერიტორიაზე.

ახალი საბორნე ხაზი

რუმინეთის ქალაქ კონსტანცაში კონსტანცა-ბათუმი-ილიჩევსკის ნავსადგურებს შორის ახალი საბორნე ხაზის გახსნის საზეიმო ცერემონიალი გაიმართა.

საქართველოს მხრიდან ღონისძიებას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ნათია მიქელაძე და საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუმინეთში ილია გიორგაძე ესწრებოდნენ.

ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, საბორნე ხაზის ოპერირებას უკრაინული კომპანია „უკრფერი“ განახორციელებს. საბორნე ხაზს მოემსახურება შერეული ტიპის ბორანი „გრეიფსვალდი“ (ტევადობა: 50 სატვირთო ავტომობილი, 50 ვაგონი, 150 მგზავრი). მიმოსვლა იწარმოებს კვირაში 1 ან 2 სიხშირით.

კონსტანცასა და ბათუმის ნავსადგურებს შორის პირდაპირი საბორნე მიმოსვლის აღდგენას წინ უძღოდა ურთიერთგაგების მემორანდუმის გაფორმება — „რუმინეთის ტრანსპორტის სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შორის საბორნე ტრანსპორტის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“.

ინტერპრესი

◎ კაკალ გულში

წესიერადგანი თარაზები

● **რაო, მიშაზე ძებნაა გამოცხადებულიო?**

ექსტრადიცია როდის იქნება ხო არ იცით?

ვაი ჩვენს პატრონს უბედურს ამათ ხელში!

მარგიშვილ(ებ)ისთვის ხელფასის მომატება არ დაგავიწყდეთ!

● **თემიდა რო პუტანაა იყო კი ვიცოდი, მარა როლანდასაც თუ მისცემდა, ნაღდად არ მეგონა! ნეტა ეგეთი რა გადაიხადა?**

● **მაგიჟებს ჟურნალისტური ფრაზა:**

არც უარყოფს, არც ადასტურებსო!

● **ხოფერია ეკითხება სოფო ხალვაშს; — არ გენატრება თბილისური ბომონდი? — „თბილისური ბომონდი“ ვინ არის? — მუთაქების მკერავები და არტილერისტები?..**

● **ისეთი ბანძები ვართ, ებოლაც არ დაგვემართება.**

● **ახლა კეთილი ინებოს საბერძნეთის მთავრობამ და და დათას სადმე, ნორმალურ ოჯახში „სერიოზული ჩავარდნილი მოხუციც უნახონ მოსავლელად“...**

● **სოკრატეს ხომ კარგად მიუსაჯეთ, თქვე უნამუსოებო!**

● **ძალიან ავარდნია თავში ალასანიას!**

უკვე ქართველი ხალხის სახელით ლაპარაკობს სახიფათო სისულელეებს.

სასწრაფოდ ეფექტური მუხრუჭი სჭირდება ან ასეთივე პანღური!

● **შეშა მაინც დავხერხოთ!**

● **ოცნება ბოლოს კვდებაო, და უკვე დადგა ეს „ბოლო“?**

● **ჯერ არ შემხვედრია ქართველი, რომელიც გვარისთვის „შეუფერებელი“ რეგიონიდანაა და მისი წარმომავლობა ასე არ იწყებოდეს — ჩემმა დიდმა პაპამ ბატონი მოკლა და გადმოსახლდნენ ჩემი წინაპრები. თუ ვინმე ხართ ჩემ ფრენდებში ისეთი, დადიანმა რომ მწევარში გაცვალა მისი დიდი ბებუა, ან გურიელმა ნარდში წააგო, შემეხმიანეთ, თორე აღარა ვარ ამ დახოცილი ბატონების ცოდვით.**

● **მთელი ევროპა ძალიან შორს გვიშვებს პრესტუნიკების (ნაცების) გადმოცემაზე და რანაირი ევროპასთან ინტეგრაციაა, არ მესმის. ყანწი მაინც დაგვირტყან, კარგად რომ დავბოლდეთ...**

● **ისე, რა დაგიმალოთ და გეტყვით, ერთხელ ვუყურე ასათიანის პროფილს, აი მაშინ, ერთი ბატალიონი ბოზები რომ ჰყავდა გადაცემაში თავის მამაშიანად. უბრალოდ ფასები მაინტერესებდა.**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ვითხოვ სიტყვას!

ჩემი მიზანი მხოლოდ სიმართლეა!

მე არ ვარ პოლიტიკოსი, ვარ მხოლოდ უსაზღვროდ შეყვარებული ჩემს საცოდავ, უპატრონო ქვეყანაზე, თავისი ცუდი და კარგი მხარეებით. აი, ეს არის ჩემი ცხოვრების კრედო. ვარ 93 წლის და განვიცდი, მინდა, რომ სიკვდილამდე მოვესწრო ჩემი ქვეყნის გაბრწყინებას.

ასეთი შესავლის შემდეგ, ალბათ, გასაგები იქნება, თუ რატომ მთვლიან „ზვიადისტად“ და შემდეგ მიხეილ სააკაშვილის მიმართ უარყოფითი აზრის მქონედ. 1995 წელს, პირველად, როცა მიხეილ სააკაშვილი იყრიდა კენჭს ვაკეში, ის და ელენე თევდორაძე მოვიდნენ უბანში ხალხთან გასაუბრებისათვის, ამომრჩევლებთან გასაცნობად. მაშინ მე უკვე 73 წლის ხანშიშესულმა გასაუბრების დროს, თუ სხვა ქალები სთხოვდნენ მომავალ დეპუტატს სააკაშვილს, საყოფაცხოვრებო საკითხების მოგვარებას, მე პირდაპირ მივმართე — „თქვენ აღზრდა და განათლება მიგიღიათ ამერიკაში, რა გინდათ, რომ შედიხართ პარლამენტში, თქვენ ხომ არა ხართ ეროვნულად განწყობილი?“ საშინლად გაცხარდა — „როგორ მე არ ვარ ეროვნული? ჰელსინკში მე მოხსენება ქართულად გავაკეთეო“. გამეცინა ამ ბავშვურ პასუხზე (ის მაშინ 27 წლის იყო).

ამის შემდეგ ის კიდევ შემხვდა „ჟურნალისტთა სახლში“ და ძალიან კარგად, თითქოს ზვიად გამსახურდიასავით პატრიოტულად ლაპარაკობდა. დაამთავრა თავისი სიტყვა და მოემზადა წასასვლელად. მე მივედი მასთან და ვკითხე, თუ ვახსოვდი, შევახსენე ჩემი სიტყვები და მხოლოდ ამის შემდეგ გამიხსენა. შემდეგ კიდევ ორჯერ შევხვდი და უკვე კარგად ვახსოვარ დღეს, ისევ ამ პოზიციაზე ვდგავარ და, როგორც ჩანს, საქართველოში 1995 წლიდან დღემდე არ აღმოჩნდა ადამიანი, თუნდაც მასთან დაახლოებული პირი, მის შეფასებაში. თავიდან თვით ბიძინა ივანიშვილიც კი შეცდა: თურმე „არ ეგონა, თუ ასეთი აღმოჩნდებოდა“. არ ვიცი, გამოდის, რომ მხოლოდ მე აღმოვჩნდი ის, ვინაც დასაბამიდანვე შევიცანი, თუ როგორი იქნებოდა, მისი მოქმედების გზა განვსაზღვრე წინასწარ. იქნებ ეს ჩემი „წინასწარმეტყველება“ გასათვალისწინებელია მომავალშიც?

დღეისთვის ამ წერილის დაწერის მიზანი არის ის, რომ ვამხილო ყოველგვარი უარყოფითი, არ დავზოგო არც „ნაცები“ და არც „ოცნების“ წარმომადგენლები, და ვთქვა მხოლოდ სიმართლე. ჩემთვის არა აქვს არავითარი უპირატესობა არც ერთ მათგანს. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ვართ უკიდურესად გაჭირვებული, მეტი დაბალი დონე ცხოვრებისა არ ახსოვს საქართველოს. მოსახლეობის 70 პროცენტი უმუშევარია, პენსია საკმარისი არ არის. ავადმყოფს ერთი თავი წამლის შეძენის საშუალება არა აქვს, სხვა პრობლემებზე ხომ ზედმეტია საუბარი. ამ დროს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური არიგებს 138 მლნ. ლარს პარლამენტარებზე. ჯერ ის არის გასაკვირი, რომ ამ 150 პარლამენტართა შორის არ აღმოჩნდა თუნდაც ერთი პიროვნება, რომ გამოსულიყო და ეთქვა — „ბატონებო, ჩვენ 150 პარლამენტარი სასიამოვნოა, რომ ვმუშაობთ, გვაქვს სხვა თანამშრომელთა ხელფასებზე გაცილებით მაღალი ხელფასები და ეს 138 მლნ. დიდი თანხაა, რომელსაც თუ დავუბრუნებთ თავის პატრონს, თვით მოსახლეობას და მათ ავუშენებთ ბინებს ამ თანხით, იქნება აღარ ჰყავდეს ჩვენს ქვეყანას ამდენი უსახლკარო ლტოლვილი და მოსახლეობაო“. მაგრამ ეს არ მოხდა. 138 მლნ. გაიხარჯა ასე უპასუხისმგებლოდ.

რა განსხვავებაა მაშინ გიგი უგულავასა და ნოდარ ხადურს შორის? გიგი უგულავამ მხოლოდ 50 მლნ. დაურიგა ამომრჩევლებს და ამიტომ ის დაუპატიმრეს. ამ თანხაზე ორჯერ მეტი თანხა — 138 მლნ. ასე უპასუხისმგებლოდ ის დაურიგდა 150 პარლამენტარს. განსხვავება ის არის, რომ გიგი უგულავა საპატიმროშია ამ დანაშაულისთვის, ხოლო ნოდარ ხადური ყელყელაობს პარლამენტარებს შორის. სულ რაღაც ოთხწლედის არითმეტიკაა საჭირო, რომ გავყოთ 138 მილ. 40 ათას ლარზე იმიტომ, რომ 40 ათასად სამშენებლო კომბინატებში თუ იკითხავთ, დიდი თანხაა, რაც გადაჭარბებულიცაა 3-ოთახიანი ბინის ღირებულებაზე (იკითხეთ, რა უჯდებათ სამშენებლო დაწესებულებებს ერთი სამოთახიანი ბინის მშენებლობა და, იმედია, მიიღებთ იგივე პასუხს).

ე. ი. გამოდის, რომ ამ გაყოფით (138 მლნ. თუ გავყოფთ 40 ათასზე) მივიღებთ 3-ოთახიან ბინას 3450 უსახლკაროსთვის და გაცილებით მეტსაც. ამით მცირედ მაინც მოიხსნებოდა ჩვენს ქვეყანაში უბინაოთა და უსახლკაროთა საკითხი.

არ ვიცი, ალბათ, ჩემსავით ბევრი განიცდის ამ ხალხის სიდუხჭირეს, მით უფრო, ჩვენ, ვინც გამოვიარეთ 1941-1945 წლის ომი. ჩვენ კარგად ვიცით, რომ მაშინ საქართველოში ქართველი მათხოვარი არ არსებობდა და მე არც და ვერც წარმოვიდგენდი ქართველ მათხოვარს, მეგონა, ქართველი ასე არ დაეცემოდა სულით და მათხოვრობას არ იკადრებდა.

ახლა მეორე საკითხი, რომელიც მეცნიერებს აღელვებს. 50 წლის სტაჟი მაქვს მეცნიერებაში მოღვაწეობის. ვარ გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი. ჩემს სადოქტორო დისერტაციას მაღალი შეფასება მისცა ამერიკამ, წარდგენილი ვარ მრავალ ნომინაციაზე. ჩემნაირი დოქტორები საქართველოს ჰყავს 1630 კაცი. ჩვენ ყველა ვღებულობთ პენსიას 150 ლარს, იგივე პენსიას, რასაც ადამიანები, რომლებსაც სულაც არასოდეს არ უმუშავიათ და არა აქვთ თუნდაც ერთი წლის სტაჟი. იმისთვის, რომ „ჩარეცხილების“ იარლიყი მოგვეხსნას, საჭირო იყო თუნდაც 50 ლარით სხვა პენსიონერებისაგან მაინც ვყოფილიყავით განსხვავებულნი. ე. ი. 138 მილიონიდან 1 მილიონის გამოყოფა ვერ მოახერხა ხადურმა, რომ დაეკმაყოფილებინა 1630 დოქტორი და მოეხდინა როგორც ეკონომიკურად, ასევე მორალურად ჩვენი რეაბილიტაცია.

საკვირველია, რა სიყალბეა და დაუოკებელი სწრაფვა „დანამატების“ გაგონება და ამით ნადირობა სახალხო, გაპარტახებული ხალხის შემოსავალზე. პარლამენტარებო, გთხოვთ, გაეცით პასუხი ამ სტატიაში წამოჭრილ კითხვებს. მე კი 93 წლის მარტოხელა პენსიონერს პირადად არასოდეს არაფერი მომითხოვია დახმარების სახით სახელმწიფოსგან, მით უფრო ამ სიღარიბის ფონზე. 93 წლის ასაკში, მხოლოდ სიმართლით მიცხოვრია და ასე ვაპირებ ბოლომდე განვაგრძო ცხოვრების დარჩენილი წლები.

ელენე აბაშიძე,
გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

FIDH-ის ანგარიში

არაღიარებული რესპუბლიკები,

ანუ წამმზომზე ჩართული ბომბები

სამ მილიონზე მეტი ადამიანი დღეს აღმოსავლეთ ევროპის არაღიარებულ რესპუბლიკებში ცხოვრობს. მათ ხელი არ მიუწვდებათ სამართალზე, რათა დაიცვან საკუთარი უფლებები მაშინ, როცა უამრავი დარღვევის მსხვერპლნი ხდებიან. ამ საგანგაშო ინფორმაციას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH) ავრცელებს. აღმოსავლეთ ევროპაში ხუთი არაღიარებული რეგიონია: ყირიმი, ყარაბახი, დნესტრისპირეთი, სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი. ყველა ამ რეგიონში საკმაოდ სახიფთო ვითარებაა ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, მაგრამ მდგომარეობის გამოსწორებაზე არც ერთი საერთაშორისო და ავტორიტეტული ორგანიზაცია პასუხისმგებლობას არ იღებს. ანუ მილიონობით ადამიანის ბედი 21-ე საუკუნეში ბეწვზე ჰკიდია.

FIDH-ის პრეზიდენტი **კარიმ ლაჰიდჯის** განცხადებით, ეს აუტანელი და წარმოუდგენელი მდგომარეობაა, თუმცა, რეალობაა: **„აღმოსავლეთ ევროპაში არაღიარებული რესპუბლიკის სტატუსი სერიოზული უფლებადარღვევის ფაქტების წყარაა, რადგან მსხვერპლს ხელი არ მიუწვდება სამართლიანობის აღდგენაზე. დე ფაქტო თუ დე იურე მთავრობები, მათი მხარდამჭერი სახელმწიფოები და საერთაშორისო საზოგადოება კი ვალდებულები არიან, გარკვეული ზომები მიიღონ მათ დასაცავად“,** — ამბობს ის.

კონფლიქტურ რეგიონებში არსებულ სიტუაციას რამდენიმე ხნის განმავლობაში სწავლობდნენ საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენლები, ხოლო გასულ კვირას საკმაოდ მწვავე სქელტანიანი ანგარიში წარმოადგინეს.

ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა — ეუთო, ევროპის საბჭო, ევროკავშირი, გაერო, ზურგს აქცევენ იქ არსებულ რთულ ვითარებას იმ მიზეზით, რომ კონფლიქტები გაყინულია და ამიტომ რეაგირებას ვერ მოახდენენ. შესაბამისად, რაც უნდა იყოს, ასეთ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დასაცავად არანაირ ზემოქმედებას არ მიმართავენ.

ანგარიშში ნათქვამია, რომ არაღიარებულ რესპუბლიკებში მთელი რიგი დარღვევები ხდება: ელემენტარულად შეზღუდული აქვთ გადაადგილების საშუალება, შეზღუდული აქვთ მოქალაქეობის მიღების უფლება. არა აქვთ ადეკვატური საცხოვრებელი პირობები, ვერ იცავენ საკუთრების უფლებას. ზედმეტია საუბარი ჯანდაცვისა თუ განათლების მიღების სათანადო რესურსებზე. ვერ იყენებენ გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებას. ანგარიშში ასევე ლაპარაკია უკანონო დაპატიმრებებზე, პოლიციის მხრიდან წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაზე, საპატიმროებში არსებულ აუტანელ პირობებზე.

იმის მიუხედავად, რომ არაღიარებულ რეგიონებში ადამიანები უამრავ სისასტიკეს აწყდებიან, მათ არა აქვთ არანაირი რესურსი, ებრძოლონ დარღვევებს, დაიცვან საკუთარი უფლებები, ღირსება. თვით ამ რესპუბლიკებში არაეფექტიანია სასამართლო სისტემა, ის ან ხელისუფლების ნება-სურვილს ასრულებს, ან სულაც კორუფციულია. ვინაიდან ამ რესპუბლიკებს საერთაშორისო საზოგადოება არ აღიარებს, მოსახლეობისთვის ზოგადსაკაცობრიოდ აღიარებული ფუნდამენტური უფლებების დაცვა რაიმე სოლიდური და ავტორიტეტული მექანიზმით, ხელმიუწვდომელია.

გამოდის, რომ „დამოუკიდებლობის მოსურნე და თავისუფლების მოყვარე ხალხს“, რომელიც „თვითგამორკვევისთვის“ იბრძვის, ელემენტარული ღირებულებებიც კი არა აქვს დაცული. კონფლიქტის რეგიონებში მცხოვრები ადამიანებისთვის არავითარი დაცულობის გარანტია არ არსებობს. არათუ იქ მაცხოვრებლებისთვის, არამედ იმ ტერიტორიაზე თუნდაც შემთხვევით მოხვედრილი „სტუმრისთვის“ უსაფრთხოება გამორიცხულია.

FIDH-ის ვიცე-პრეზიდენტმა **ტოლეკან ისმაილოვმა** საერთაშორისო საზოგადოებას უფრო მეტი აქტიურობისკენ მოუწოდა: **„აღმოსავლეთ ევროპის ხუთივე რეგიონში იურიდიული ვაკუუმია, რაც სახიფათოა მთელი მსოფლიოსთვის, — ამბობს ის, — თუ საერთაშორისო საზოგადოება ვერ შეძლებს, მსგავს სიტუაციაში რეაგირებას, ადამიანის უფლებების დარღვევა კვლავ გაგრძელდება. არსებობს რეალური რისკი იმისა, რომ ყირიმის მსგავსი ტერიტორიული დაპირისპირება აღმოსავლეთ ევროპის სხვა რეგიონში, ასევე ცენტრალურ აზიაშიც აღმოცენდეს“.**

FIDH მოუწოდებს მსოფლიოს, შესაბამის სამოქალაქო თუ პოლიტიკურ ორგანიზაციებს, გამოიჩინონ მეტი აქტიურობა, ჩართონ როგორც დე იურე, ისე დე ფაქტო მთავრობები და იპოვნონ გამოსავალი ადამიანის უფლებების დასაცავად, კონფლიქტების მოსაგვარებლად. **ანგარიშში ნათქვამია, რომ მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიურობა თუ გაანეიტრალეს ადამიანის უფლებების დარღვევის თვალსაზრისით — წამზომზე ჩართულ ბომბებს — არაღიარებულ რესპუბლიკებს!**

მოამზადა
თეა მოსიამ

 დუხჭირი ცხოვრება

ვერ ვისტუმრებთ ვალებს მშვიდად...

გაკოტრება, მევაშხეთა თუ მევალეთა ხელში ჩავარდნა კაცობრიობის ოდითგანვე თანმდევი ამბავია. ამდენად მასში ახალი არაფერი არ არის, თუმცა ყოველ ასეთ შემთხვევაში გაღატაკებული კაცისა თუ ოჯახის ცოდვა-მოკითხვა ისევ იმავე წრეზე ბრუნავს, როგორც ათასწლეულების წინათ. ხალხს ვალი ყველგან აქვს, ყველა ქვეყანაში, რასაც კიდევ უფრო მეტად შეუწყო ხელი ბოლო წლების მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკურმა კრიზისმა. გამონაკლისი ამ მხრივ, ცხადია, არც საქართველოა, თუმცა, ჩვენს შემთხვევაში მოსახლეობის სიდუხჭირესა და, შესაბამისად, გაუსტუმრებელი ვალების მოცულობის ზრდას, მრავალი სხვა, ადგილობრივი მიზეზიც აქვს.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ მოვალეთა რეესტრში აღნუსხულ პირთა რიცხოვნობა, ისევე, როგორც წინა წლებში, დღესდღეობითაც ძალიან სწრაფად იზრდება: **ბოლო ერთი წლის მანძილზე ამ შავ სიაში მოხვედრილთა რიცხვმა 33 ათასი კაცით მოიმატა.** შესაბამისად, თვიდან თვემდე მატულობს კომერციული ბანკების მიერ მსესხებელთა ვალების სანაცვლოდ სასამართლო გადაწყვეტილებით დასაკუთრებული ქონებაც, მათ შორის სამეურნეო თუ სამრეწველო ობიექტები, საცხოვრისები, ავტომანქანები და ა. შ., რის შესახებ წინა წერილშიც გვქონდა ლაპარაკი.

წლევნდელი ექვსი თვის მონაცემებით, ათი კომერციული ბანკის (მხედველობაში გვაქვს, ცხადია, მხოლოდ ისინი, ვინც ეს ინფორმაცია გაასაჯაროვა), მიერ დასაკუთრებული ქონების მთლიანმა ღირებულებამ დაახლოებით 86,4 მილიონი ლარი შეადგინა.

აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ წარმოებულ მოვალე სუბიექტთა რეესტრში, 2014 წლის პირველი სექტემბრისთვის 127,5 ათასი კაცი იყო რეგისტრირებული. კანონმდებლობით, სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მოვალეს ვალის დასაფარავად მხოლოდ შვიდი დღე აქვს, რის შემდეგ მას უძრავ-მოძრავ ქონებას უყადაღებენ. მანამდე კი, მოვალეთა რეესტრში ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს რეგისტრაციას დაქვემდებარებული ქონების ნებისმიერი სახით განკარგვა ეკრძალება, რასაც, შესაძლოა, მევალის ფინანსურ ინტერესთა შელახვა მოჰყვეს. ამასთან, აღსრულების ეროვნული ბიურო სათანადო ინფორმაციას იღებს საბანკო სექტორიდან მოვალე პირთა საბანკო ანგარიშების მდგომარეობის შესახებ. ეს ეხება დეპოზიტებს, სახელფასო, საპენსიო, საკრედიტო, ზოგადად ნებისმიერი სახეობის ანგარიშებს, რაც დაყადაღებას ექვემდებარება. საგულისხმოა ისიც, რომ კანონის თანახმად, აღმსრულებელს მოვალის სახელზე, მის ასეთად აღიარების მერე,

თუნდაც წლების შემდეგ დარეგისტრირებული ქონების დაყადაღება-გაყიდვის უფლება აქვს. დაყადაღებას არ ექვემდებარება მხოლოდ საოჯახო და პირადი მომხმარებლის ნივთები, რომლებიც აუცილებელია მოვალის ცხოვრების, მის მიერ საოჯახო მეურნეობისა და პროფესიული საქმიანობისათვის. ასევე ვერ დაყადაღდება მოვალის ოჯახს ერთი თვის სამყოფი სასურსათო საქონელი, ანდა მის შესაძენად საჭირო ფული, თუმც კი მისი ოდენობა დადგენილი არ არის.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ვალში დასაკუთრებული მოვალეთა ქონების შესახებ წლის პირველი ნახევრის მონაცემები, საქართველოში არსებული 22 ბანკიდან ჯერჯერობით მხოლოდ ათმა გაასაჯაროვა, ამდენად, თუკი ამ გზას სხვებიც დაადგებიან, ციფრი 86,4 მილიონი ლარი, ცხადია, საგრძნობლად გაიზრდება. ამ ათ კომერციულ ბანკს შორის, ვისაც აღნიშნული ინფორმაცია არ დაუმალავს, არიან „საქართველოს ბანკი“, „კაპიტალ ბანკი“, „ბანკი ქართუ“, „ბანკი რესპუბლიკა“, „ბანკი კონსტანტა“, „პროკრედიტბანკი“, „ვითიბი ბანკი“, „ბითიეი ბანკი“, „ლიბერთი ბანკი“ და „ფინკა საქართველო“ ზოგადად კი ვიტყვით, **რომ ბოლო სამი წლის მანძილზე აღსრულების ეროვნულმა ბიურომ აუქციონებზე გაიტანა და გაყიდა 3671 ერთეული უძრავი ქონება და, წლების მიხედვით დინამიკას თუ გადავხედავთ, მდგომარეობა, ფაქტობრივად, წრფივად ვითარდება, ანუ დადებითი ანდა მკვეთრად უარყოფითი ცვლილებები არ არის. კერძოდ, 2911 წელს აღსრულების ეროვნულმა ბიურომ იძულებითი აუქციონის წესით გაასხვისა 1272 ერთეული უძრავი ქონება, 2012 1228, ხოლო შარშან — 1171 ერთეული.**

აქედან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ წლევანდელი განვლილი ცხრა თვის მანძილზე ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა, ფაქტობრივად, წინა წლების დონეზე დარჩა და, შესაბამისად, არც ხალხის უმეტესი ნაწილის ფინანსური მდგომარეობა შეცვლილა უკეთესობისკენ, უნდა ვივარაუდოთ, რომ წლის მიწურულისთვის ანალოგიურ სურათს მივიღებთ. ხალხის უმეტესი ნაწილის გადახდისუნარიანობა იგივე დარჩა, ამიტომაც ბევრი იძულებულია, სამეწარმეო საქმიანობაც ვალით წამოიწყოს და ხშირად ელემენტარული ცხოვრებისეული მოთხოვნილება, ვთქვათ, აუცილებელი სამედიცინო მომსახურება თუ მედიკამენტოზური საშუალებები სხვა ვალად შეიძინოს, რასაც შემდგომ ვეღარ ისტუმრებს. თანაც, როცა ეკონომიკური ზრდის თუნდაც უმნიშვნელო, მაგრამ მაინც ზრდაზე ვლაპარაკობთ, ისიც უნდა გავითვლისწინოთ, რომ ამ მცირედი ზრდის დიდი ნაწილი არა სამრეწველო, არამედ მომსახურების სფეროებზე მოდის, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში რეალური პროდუქცია ნაკლებად იქმნება.

ახლა ამას ინფლაცია და სასურსათო, სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ფასების ზრდა დაუმატეთ და საერთო სურათი კიდევ უფრო დამძიმდება.

რეალურ, საგრძნობ ეკონომიკურ ზრდას აუცილებლად მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, მძიმე სოციალური ფონის გარკვეული გამოსწორება უნდა ახლდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, აღსრულების ეროვნული ბიუროს მოვალეთა რეესტრში, მონაცემები ბუნებრივი როტაციის გათვალისწინებით შეიძლება კიდევ დიდხანს იზრდებოდეს.

ოთარ ტურაგელიძე

ალიან-ჩალიანი

საქართველო ნატოს ენერგეტიკული უსაფრთხოების ცენტრის კონტრიბუტორი პარტნიორი გახდა

საქართველო ნატოს პირველი არაწევრი პარტნიორი — კონტრიბუტორი ქვეყანაა, რომელიც ნატოს ენერგეტიკული უსაფრთხოების ცენტრს მიუერთდა.

ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ ცენტრის მიერ განხორციელებულ კვლევებში და პროგრამებში ქართული მხრიდან სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ ჩაერთვება, რომელსაც ვილნიუსში მდებარე ნატოს ენერგეტიკული უსაფრთხოების ცენტრში ერთი მუდმივი წარმომადგენელი ეყოლება.

NATO-ს არაწევრ ქვეყანასთან ამ ტიპის ხელშეკრულებაზე ხელმოწერა თავის მხრივ უპრეცედენტო მოვლენაა. ნატოს ენერგეტიკული უსაფრთხოების ცენტრი 2012 წლის 10 ივლისს დაარსდა, ის ოფიციალურად 2013 წლის 6 სექტემბერს ალიანსის გენერალურმა მდივანმა და ლიტვის პრეზიდენტმა გახსნეს.

ენერგეტიკული უსაფრთხოების ცენტრის პირველი გაფართოება ნატოს არაწევრი ქვეყნით, საქართველოთი დაიწყო. გაფართოების პროცესს 2014 წელს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ერთ-ერთი დამაარსებელი ქვეყანა, დიდი ბრიტანეთი დაასრულებს.

როგორც საქართველოს ვიცე-პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, მთელი ის გამოცდილება, რომელიც ამ ქვეყნებშია დაგროვილი ენერგოუსაფრთხოების მიმართულებით, ხელმისაწვდომი გახდება „დელტას“ სამეცნიერო-ტექნიკური განვითარებისთვის. ასევე „დელტას“ პოტენციალი ხელმისაწვდომი იქნება გაერთიანების წევრი ქვეყნებისთვის.

ინტერპრესი

ჯიჰადი – სერიოზული გამოწვევა

თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ სერიოზულ გამოწვევას რომ ტერორიზმი წარმოადგენს, მტკიცება არ სჭირდება. გაეროს 69-ე გენერალური ასამბლეის ჩარჩოებში, უშიშროების საბჭოს მიერ 24 სექტემბერს მიღებული რეზოლუცია სწორედ ამის დასტურია. მსოფლიო ორგანიზაციამ პირველად მიიღო დოკუმენტი ჯიჰადიზმთან, როგორც ტერორიზმის საშიშ გამოვლინებასთან ბრძოლის თაობაზე.

რეზოლუციაში არის მოთხოვნა გაეროში შემავალი 193 ქვეყნის მიმართ, მიიღონ ეფექტიანი ზომები, არ დაუშვან ახლო აღმოსავლეთში არსებულ ტერორისტულ ორგანიზაციებში მოხალისეთა გამგზავრება. საქმე ეხება სირიასა და ერაყში მოქმედ ისლამისტურ ორგანიზაციას, რომელმაც დაიპყრო რა აღნიშნული ქვეყნების დიდი ნაწილი – ერთი მესამედი თითოეულისა, თავი „ისლამურ სახალიფოდ“ გამოაცხადა.

სხვადასხვა მონაცემებით, „სახალიფოში“ 30000-დან-50000-მდე ჯიჰადისტი იბრძვის. უმრავლესობა მათგანს საბრძოლო წრთობა აქვს გავლილი ავღანეთში, ლიბიაში, სირიასა და ერაყში. ჯიჰადისტთა მნიშვნელოვანი რაოდენობა აღინიშნება აშშ-დან, დიდი ბრიტანეთიდან, ევროპის სხვა ქვეყნებიდან, რუსეთიდან, ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან, აზერბაიჯანიდან, საქართველოდან და სხვა. საქართველოდან მეომარი ჯიჰადისტები „სახალიფოს“ მმართველობის შემადგენლობაშიც არიან.

„სახალიფოს“ აქტიური მოქმედება 2013 წლიდან შეინიშნება, ცხადია, სირიის პრეზიდენტის ასადის ხელისუფლების წინააღმდეგ. სირიის ტერიტორიაზე სხვა ექსტრემისტული ისლამისტური ჯგუფებიც მოქმედებენ, რომელთა შორის გამოირჩევა „ალ-ქაიდას“ ფილიალი, „ჯაბხატ ან-ნუსრა“. მაგრამ მას შემდეგ, რაც „სახალიფოს“ „არმიამ“ დაიკავა ერაყის ქალაქი მოსული, თავისი სიდიდით მეორე, ინტერესი „სახალიფოსადმი“ ექსტრემისტ ისლამისტებში მკვეთრად გაიზარდა. ამას ხელი შეუწყო ქ.მოსულის ნავთობსაბადოებმაც.

„სახალიფოს“ დაფინანსება ხდება სპარსეთის ყურის ვაჰაბისტური მონარქისტული ქვეყნებიდან. გარდა ამისა, ქ.მოსულის აღებისას ჯიჰადისტებს ხელში ჩაუვარდათ ბანკებში, განსაკუთრებით ერაყის ცენტრალური ბანკის ფილიალში დარჩენილი ასეულობით მილიონი დოლარი. „სახალიფო“ ყიდის ნავთობს იმ საბადოებიდან, რომლებიც მის კონტროლს ექვემდებარება.

„ისლამური სახალიფო“ დღესდღეობით მსოფლიოს ყველაზე საშიში ტერორისტული ორგანიზაციაა, რომლის ამბიციური გეგმები შორს მიდის ახლო აღმოსავლეთიდან და მოიცავს საკმაოდ დიდ ტერიტორიას – ჩინეთიდან დაწყებული, ესპანეთის ჩათვლით. „სახალიფოს“ პროექტში კავკასიის და, ცხადია, საქართველოს დაპყრობაც მოიაზრება, ომი რუსეთთან და ა.შ.

მაინც როგორ აპირებს ახლადშექმნილი „სახალიფო“ თავისი გავლენის ესოდენ გაფართოებას?

უპირველეს ყოვლისა, მომავალი გავლენის ქვეყნებში მცხოვრები ვაჰაბიტების, სალაფიტების, ჯიჰადისტების დახმარებით. ერთი შეხედვით, თითქოს ასეთი ძალები დიდ საშიშროებას იმ ქვეყნებისთვის, სადაც ისინი არიან, არ წარმოადგენენ, მაგრამ ეს ერთი შეხედვით. სინამდვილეში მათი „მიძინებული“ ძალა ანგარიშგასაწევია და საკმარისი იქნება ისლამისტურ-ექსტრემისტული ჯადოსნური ჯოხის ერთი აქნევა, რომ დიდი პრობლემები შეექმნათ ხელისუფლებებსა და საზოგადოებას.

თუ დასავლურ, მათ შორის, ამერიკულ წყაროებს დავუჯერებთ, პატარა საქართველოში საკმაო რაოდენობით არიან ვაჰაბიტებიც, სალაფიტებიც, ჯიჰადისტებიც, რომელთა გარკვეული ნაწილი სირიაშიც იბრძვიან და „სახალიფოს“ „არმიის“ შემადგენლობაშიც.

ტერორისტული ჯგუფების არსებობა ძირითადად პანკისს უკავშირდება. სწორედ იქ იყო თავმოყრილი ჩეჩენი „ბოევიკების“ არცთუ უმნიშვნელო ნაწილი. გავიხსენოთ „განათლებული“ გელაევი, როგორც მას შევარდნაძემ უწოდა, და მისი „ტრიუმფალური“ გადასვლა პანკისიდან კოდორში, ცხადია, საქართველოს შსს ესკორტირებით, კოდორში დაბანაკება და „შეტევა“ სოხუმზე, მარცხი, გელაევის დაჭრა, თბილისში, სამხედრო ჰოსპიტალში მკურნალობა და ა.შ.

როგორც უცხოური, ისე ჩვენი პრესის მიხედვით, პანკისში, არა მარტო „ბოევიკების“ საწვრთნელი ბაზა იყო, არამედ ნარკოტიკების ადგილიც. რუსეთში, ჩეჩენ ტერორისტებთან წარმატებული ომის შედეგად, პანკისის თემამ, მანამდე ნეგატიურად არაერთხელ გაჟღერებულმა რუსეთის სპეცსამსახურების მიერ, მეორე პლანზე გადაინაცვლა, თუმცა, სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში, განსაკუთრებით 2008 წლის ცხინვალის ომის შემდეგ, კვლავ წინა პლანზე გამოჩნდა.

აღნიშნულ პერიოდში საქართველომ, სირიაში, ბაშარ ასადის ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ „ბოევიკთა“ მომზადების საიდუმლო სტატუსი შეიძინა, რომლის შესახებაც აღნიშნულია ამერიკელი მკვლევარის ჯატრასის მიერ 2013 წლის შემოდგომით გამოცემულ წიგნში.

სირიის ოპოზიციის ძალების ჯიჰადისტთა მომარაგების საქმეში სააკაშვილის ხელისუფლების წვლილი საგრძნობი იყო. აღნიშნულ „ღონისძიებას“ ჯატრასისა და ქართული პრესის მიხედვით, შს მინისტრის მოადგილე, ვინმე ლორთქიფანიძე კურირებდა.

სააკაშვილის ხელისუფლების ამ შავი ისტორიის შესახებ ომბუდსმენი ნანუაშვილიც ამბობდა. თითქოს გამოძიებაც დაიწყო ლაფანყურთან დაკავშირებით, მაგრამ ფართო საზოგადოებისთვის ჯერაც უცნობია, რა მოხდა, რასთან გვქონდა საქმე.

გუშინდელი „შავი“ ისტორიისთვის წაყრუებამ ხომ არ გამოიწვია ის, რომ სირიის ანტიასადურ ძალებში მებრძოლ ჯიჰადისტთა შორის საქართველოს მოქალაქეთა საგრძნობი რაოდენობაა? საყურადღებოა ისიც, რომ „ისლამური სახალიფოს“ შექმნის საჯარო გამოცხადებას ზეიმით შეხვდნენ კახეთის ზოგიერთ და აზერბაიჯანული მოსახლეობით დასახლებულ რაიონებში. როგორც საქართველოში აკრედიტებული საელჩოების დიპლომატები აღნიშნავენ, იყო ავტომანქანების კოლონების მსვლელობა, დროშების ფრიალი (ცხადია, „სახალიფოს“ გროშების), საყვირების გამაყრუებელი ხმაური და ა.შ.

ამ „ზეიმის“ შესახებ ქართველმა საზოგადოებამ ცოტა რამ იცის, ვინაიდან ინფორმაციის წყარო – ჟურნალისტიკა დუმს. მას გაცილებით მეტად იზიდავს „თოქ-შოუებში“ ისეთი თემის განხილვა, როგორიცაა მოსკოვში გამართულ კონცერტში საქართველოს ესტრადის მომღერლების მონაწილეობა.

თემა ჟურნალისტმა გრიგოლიამ გააჟღერა – მიწვეულების ერთმანეთის ლანძღვა-გინებით და, ცხადია, რუსეთის უშვერი სიტყვებით მოხსენიებით. როდესაც შოუს მონაწილე „მწერალი“ დეისაძე მოსკოველ ხუბუტიას ეტყვის – პუტინის დედაც მოვ... – ყველაფერი ნათელია.

ქართველი საზოგადოება, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, „ნაცური“ სულისკვეთებით გაჟღენთილი, საკუთარ ჭაობში ბუყბუყებს და საცაა ჩაიხრჩობა. ნებისმიერი, მით უმეტეს მეზობელი დიდი ქვეყნის პრეზიდენტის, გინება კარგს არაფერს მოუტანს საქართველოს.

ასეთი უნდა ისჯებოდეს – საჯაროდ, ტელევიზიით ბილწსიტყვაობისთვის. ტელევიზიამაც უნდა აგოს პასუხი მსგავსი გამოხდომისთვის, მაგრამ სად არის ტელევიზია? ჩემი აზრით, „თოქ-შოუში“ მონაწილე თავმოყვარე სტუმრებს ამ გინების შემდეგ დემონსტრაციულად უნდა დაეტოვებინათ დარბაზი და არა მარტო იმიტომ, რომ მეზობელი ქვეყნის პრეზიდენტი, არამედ თითოეული მათგანი შეურაცხყვეს.

საზოგადოების ყურადღება უხამს შოუებზეა გადატანილი და მთავარი პრობლემების განხილვა გვერდზე რჩება. საკითხავი ისაა, შეგნებულად თუ შეუგნებლად ხდება ყოველივე ეს? იქნებ ინფორმაციის არცოდნის გამო? იქნებ ვიღაცამ გააფრთხილა – ამ თემაზე ნუ დაწერთო? წინ ხომ მრავალი საკითხია მოსაგვარებელი, ისეთი, როგორიცაა აშშ-ის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე, სირიაში და სხვაგან მეომარი რადიკალური ისლამის წინააღმდეგ მებრძოლი ჯგუფების საწვრთნელი ბაზის შექმნა?

ანტიტერორისტული საწვრთნელი ბაზის შექმნის თემა არახალია. ჯერ კიდევ საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის შემდეგ, მოსკოვი ითხოვდა ანტიტერორისტული ბაზის შექმნას. მაგრამ მაშინ საქართველომ რუსეთი მოატყუა, დაპირდა და აღარ შეასრულა. რუსეთმა კი ამასობაში სამხედრო ბაზები დახურა. იმჟამად ვერავინ იფიქრებდა, რომ ამ ტყუილს საქართველოს ცხვირში ამოადენდნენ. 2008 წლის ცხინვალის ომის შემდეგ, რუსეთმა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში მძლავრი სამხედრო ბაზები შექმნა.

ყოველივე აღნიშნული უკვე წარსულის ნაწილია, თუმცა, დასაწყისი იმისა, რაც დღეს არის. დღეს კი, ცხრამთას იქით არსებული სახელმწიფო, საქართველოს გუშინდელი და დღევანდელი ხელისუფლება რომ „სტრატეგიულ პარტნიორად“ მოიხსენიებს, ცდილობს, თავისის გატანას, ანუ ე.წ. ანტიტერორისტული საწვრთნელი ბაზის შექმნას, ექსტრემისტულ ისლამთან საომრად.

დავუშვათ, ამჯერად მაინც აშშ-ის კეთილშობილური მიზნები ამოძრავებს, რისი დაჯერებაც ძნელია, რას მოუტანს ეს საქართველოს? ცხადია, ცუდის მეტს არაფერს, ვინაიდან ბაზა უმალ გახდება იმათი სამიზნე, ანუ ჯიჰადისტების, ვის წინააღმდეგაც იქნება მიმართული. „სახალიფოს“ ჯიჰადისტები ძალას არ დაიშურებენ მათ წინააღმდეგ მებრძოლი „ინკუბატორის“ გასანადგურებლად და ამ პროცესში უდანაშაული მსხვერპლიც იქნება. ეს, რაც შეეხება ერთ მხარეს.

მეორეც, არანაკლებ საშიშია, რაც დადასტურდა კიდევაც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის ლუკაშევიჩის მხრიდანაც, რომელმაც გამოხატა რუსეთის შეშფოთება საწვრთნელი ბაზის გახსნასთან დაკავშირებით.

შეშფოთების საბაბი რუსეთს აქვს. არავინ იცის, ამერიკულ ბაზაზე მომზადებული სირია-ერაყში საბრძოლველი ბრიგადები იქით გაემგზავრებიან თუ რუსეთისკენ. რუსეთი კარგად იცნობს ამერიკელთა ხელწერას.

დასავლეთის ქვეყნებმა, უპირველესად, აშშ-მა ისლამური ექსტრემისტული ძალები გამოიყენეს თავიანთი გეოპოლიტიკური მიზნებისთვის. „გარიგებით ქორწინება“ მოხდა 1979-1989 წლებში, როდესაც აშშ-მა და საუდის არაბეთმა დააფინანსეს და შეაიარაღეს ავღანელი მოჯაჰედები და მათი რიგები გაზარდეს არაბი „ბოევიკებით“. ამ უკანასკნელებს, ომის შემდეგ, იარაღი არ დაუყრიათ, პირიქით შეატრიალეს გუშინდელი მასწავლებლების წანააღმდეგ. ასე შეიქმნა ტერორისტული ორგანიზაცია „ალ-ქაიდა“.

არაბული „გაზაფხულის“ დადგომასთან ერთად კვლავ აღმოცენდა ისლამური ძალების გამოყენების პროგრამა. პირველმა, „აღორძინებულმა“ ნაბიჯმა, განხორციელებულმა ლიბიაში, უმძიმესი შედეგი მოიტანა – წარმატებული ქვეყნის ნგრევა, საყოველთაო ანარქია და თვით დასავლეთის ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობებზე თავდასხმები, აშშ-ის ელჩის მკვლელობა და ა.შ.

ანალოგიური ვითარება შეიქმნა სირიაში – ბაშარ ასადის ხელისუფლების წინააღმდეგ. სამწლიანმა ომმა ჯიჰადისტებს შანსი მისცა გამაგრებულიყვნენ დასავლური დახმარების წყალობით.

დღეს, აშშ აყალიბებს „ისლამური სახალიფოს“ წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყნების კოალიციას, მაგრამ პარალელურად აგრძელებს ომს ბაშარ ასადის ხელისუფლების წინააღმდეგ. ორმაგი სტანდარტი სახეზეა. მსგავსი მოქმედება უხერხულ მდგომარეობაში აყენებს კოალიციის წევრ ზოგიერთ ქვეყანას. მათ არ სურთ სირიის ტერიტორიის დაბომბვა.

აღნიშნულ კოალიციაში 40 ქვეყანა მოიაზრება, მაგრამ სამხედრო ოპერაციებში, ანუ საჰაერო თავდასხმებში მხოლოდ 11 ქვეყანა იღებს მონაწილეობას: აშშ, ხუთი ევროპული და ხუთი არაბული ქვეყანა. აშშ-ს გადაწყვეტილი აქვს საუდის არაბეთთან ერთად შექმნას ლოიალური სირიული ოპოზიციის სამხედრო-საწვრთნელი ბაზა, რომლის მიზანი იქნება სირიის ტერიტორიაზე გამაგრებული „ისლამური სახალიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლა. დასაწყისში ბაზამ 5000 მეომარი უნდა მოამზადოს. მაგრამ თვით ამერიკელი სამხედროების გათვლით, სირიის ტერიტორიიდან „სახალიფოს“ „არმიის“ გასადევნად 15-20 ათასი ჯარისკაცი იქნება საჭირო.

მწარე ისტორიული გამოცდილება კი გვიკარნახებს – საწვრთნელ ბაზებზე მომზადებული „ბოევიკები“ იოლად ტრანსფორმირდებიან ჯიჰადისტებად. არც ის არის გამორიცხული, რომ ეს „ბოევიკები“ ისევ ბაშარ ასადს მიუსიონ.

„სახალიფოსთან“ ბრძოლა იოლი რომ არ არის, თვით აშშ-ის პრეზიდენტმა ობამამაც აღიარა. მან განაცხადა, რომ ამ ომს მინიმუმ სამი წელიწადი დასჭირდება.

რატომ სამი და არა ორნახევარი ან ოთხი? ამ „სიზუსტისთვის“ ობამა მკაცრად გააკრიტიკეს როგორც შინ, ისე გარეთ. ობამას ნათქვამმა იმედგაცრუება გამოიწვია სირიის და ერაყის იმ მოსახლეობაში, რომელიც უკვე იმყოფება „სახალიფოს“ უღელქვეშ. იქ, წამებში წყდება ქრისტიანების, შიიტების, ქურთების, ალავიტების ყოფნა-არყოფნის ბედი.

„სახალიფო“ წარმატებით ახორციელებს ქ.კობანის შტურმს. ზოგიერთი საინფორმაციო წყაროს მიხედვით, ქალაქი მათ ხელშია, რაც ნიშნავს თურქეთთან საკმაოდ გრძელი სასაზღვრო ზოლის (400 კმ) კონტროლს.

სულ ახლახან ცნობილი გახდა „სახალიფოს“ მიერ გამოცემული მანიფესტის შესახებ, რომლის მიხედვით, ჯიჰადისტები მოსკოვს სთავაზობდნენ იმ ნავთობსაბადოების ექსპლუატაციას, რომლებიც მათ კონტროლს ექვემდებარება – სანაცვლოდ ირანის ბირთვული პროგრამის მიღებისა. ჯიჰადისტები რუსეთიდან ითხოვენ თეირანთან კავშირების გაწყვეტას, სპარსეთის ყურის ქვეყნების დახმარებას ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში და სირიის პრეზიდენტის ბაშარ ასადის ხელისუფლებისადმი დახმარების შეწყვეტას.

ეს დოკუმენტი, რომლის ავტორი, „სახალიფოს“ მმართველი ექვსეულიდან ერთ-ერთი – აბდულა ახმედ ალ-მესხედანია, ა.წ. მარტშია შედგენილი და მიზნად ისახავს ისეთ ამბიციურ გეგმას, როგორიცაა შიიტურ ირანთან დაჭიდება. თვით ირანის ხელისუფლება თვლის, რომ აშშ და მის მიერ შექმნილი კოალიცია ფეხს ითრევს სერიოზული საბრძოლო მოქმედებების განხორციელებისგან. ქურთული ქალაქის კობანის დაცემა ჰუმანიტარული კატასტროფის მაუწყებელი იქნება.

ექსპერტთა აზრით, ვერავითარი კოალიცია ვერ იმოქმედებს ეფექტიანად, ვიდრე მასში ჩართული არ იქნებიან ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა რუსეთი, ირანი, სირია. რუსეთსა და ირანს უდიდესი გამოცდილება დაუგროვდათ ტერორიზმთან ბრძოლაში და მათი იგნორირება საერთო საქმეს ავნებს.

რაც შეეხება საქართველოს, მისმა ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესები, ჯეროვნად შეაფასოს ვითარება, არ დაუშვას აშშ-ის სამხედრო-საწვრთნელი ბაზის შექმნა საქართველოს ტერიტორიაზე; გაძლიერებული ყურადღება გამოიჩინოს ქვეყნის შიგნით მიმდინარე მუსლიმანური პროცესებისადმი; ყურადღება გაამახვილოს ვაჰაბიზმისა და სალაფიზმის მიმართ; ფეთჰულა გიულენის მოძღვრების ფართო გაშლის მიმართ აჭარის ავტონომიაში; „ისლამური სახალიფოს“ შემაკავებელ ფაქტორად გამოიყენოს რუსულ-ქართული მართლმადიდებლობა, სომხური გრიგორიანიზმი, ირანული შიიზმი.

მხოლოდ ამ კვარტეტის კონსტრუქციულ თანამშრომლობას შესწევს ძალა და უნარი წინ აღუდგეს ისეთ სერიოზულ ექსტრემისტულ გამოწვევას, როგორიცაა ჯიჰადი, „ისლამური სახალიფო“.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №227

გურამ პატარაია

ტაო-კლარჯეთში გურამ პატარაიასთან ერთად

ერთად ვიყავით. ერთად მოვიარეთ ირანი, ათონი, ტაო-კლარჯეთი.. უამრავი ტკივილი, უამრავი სიხარული და შთაგონება განგვიცდია. მაშინ 25 თუ 20 წლის წინათ, იოლი არ იყო ამ ქვეყნებში ფილმის გადაღება... განსაკუთრებით ტაო-კლარჯეთში. ოცნებით კი მევრჯერ გვიოცნებია. ხშირად არა, მაგრამ ზოგჯერ ოცნებაც სინამდვილედ იქცევა. ასე იყო მაშინაც...

თურქეთში, ქალაქ დიარბაქირში, სირიულ მონასტერში უნახავთ ქართული ხელნაწერი. ქალბატონმა ელენე მეტრეველმა მე და გურამს დაგვიძახა და გვითხრა, როგორმე, ეს ხელნაწერი უნდავ ვიპოვოთო.

თურქეთმა ვიზა არ მოგვცა. მაშინ ხერხი ვიხმარეთ და გავემგზავრეთ ჯერ საბერძნეთში, მერე სირიაში. იქ მაშინ ცხოვრობდა ქართველი ემიგრანტი ლევან საღარაძე – დიდებული კაცი. მან გაგვიხერხა ორკვირიანი ვიზა. შევიძინეთ მანქანა და წავედით. ჩავედით დიარბექირში და დავიწყეთ ამ მონასტრის ძებნა. ეს არც ისე იოლი აღმოჩნდა, რამდენიმე მონასტერში ვიყავით. პირდაპირი მისამართი კი არ გვქონდა, მაგრამ, ჩემი ღრმა რმწენით, ამ მოგზაურობაში გზას გვინათებდა უფალი. მოვნახეთ ერთ-ერთი მონასტრის წინამძღვარი. გამოვესაუბრეთ. ჩაგვიყვანა სარდაფში, რომლის სიდიდე 150 კვმ. იყო. მის შუაში, როგორც პირამიდა, ისე ეყარა ხელნაწერები. კედლებზეც თაროები იყო მიმაგრებული; მათზეც ხელნაწერები ეწყო. ეს ყველაფერი რომ გადაგვერჩინა, ორ თვეზე მეტი დაგვჭირდებოდა. აქაც, უფლის ნებით, ოცდაათი წუთიც არ დაგვჭირვებია და ვიპოვეთ!

მანამდე გურამმა ნახა ერთი ხელნაწერი, მაგრამ იგი სომხური აღმოჩნდა. გავაგრძელეთ ძებნა და ზუსტად ოც წუთში ქართული ხელნაწერიც ვიპოვეთ. იგი თაროზე იდო. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მიდგა ჯერი მის შეძენაზე. მონასტრის წინამძღვარი კატეგორიულ უარზე იყო.

ჯერ მივუთითეთ სომხურ ხელნაწერზე, ვითომ ის გვაინტერესებდა. შევთავაზეთ თანხა, 2000 დოლარი დაგვიფასა. ვუჩვენეთ ქართულიც. მასში 1000 გვთხოვა. ვუთხარით, ამდენი არ შეგვიძლია და ისევ ერთს ვიყიდით-თქო. როგორც იქნა, 800 დოლარად მოგვცა. მაშინვე წამოვედით ქალაქ ანკარაში. ხელნაწერი კი საბჭოთა კავშირის საელჩოში მივიტანეთ და დიპლომატიური ფოსტით ელჩმა ბატონ ე. შევარდნაძეს (მაშინ იგი ცკ-ის პირველი მდივანი იყო) გამოუგზავნა. ამოვისუნთქეთ. ამ წიგნით იქ ვინმეს რომ დავეჭირეთ, 10-15-წლიანი პატიმრობა არ აგვცდებოდა.

ანკარაში გურამი შეუძლოდ შეიქნა. ექიმებმა წოლითი რეჟიმი დაუწესეს. მე კი ბაზარში დავდიოდი, სადაც შემთხვევით თურქეთის ქართველები გავიცანი. წამოვიყვანე გურამთან. გავუზიარეთ ერთმანეთს ჩვენ-ჩვენი საწუხარი.

ვიზა ორ დღეში გვითავდებოდა. ძალიან გვაწუხებდა ეს, ერთ-ერთმა ქართველმა გვითხრა, რომ აქ შინაგან საქმეთა მინისტრი გურჯია – **აჰმედ გიუნეში**, გვარად **ბოლქვაძე**, კარგი კაცია და მაგ საქმეს მოგიგვარებთო. იმ დღეს თვითონ ანკარაში არ იყო. ჩვენი მონაცემები მდივანს დავუტოვეთ და ვთხოვეთ, შეგვხმიანებოდა, მართლაც, მეორე დღესვე დარეკა...

– ბიჭებო, მოდით, მოდით...

ქართულად ცუდად ლაპარაკობდა... ძალიან კარგად მიგვიღო. ვუთხარით, ტაო-კლარჯეთის გადაღება გვინდა და ვიზა გვჭირდება-თქო. მან იუმორით გვითხრა:

– კი, ბატონო, ერთი ან ორი დღით გაგიგრძელებთო და პასპორტში ერთწლიანი ვიზა ჩაგვირტყა. ძალიან დიდი სუფრა გაგვიშალა. მოიწვია სულ ქართველები. მოიტანეს ძვირფასი ქართული სანოვაგე. ყველანი ქართულად ლაპარაკობდნენ. ერთად წავიმღერეთ კიდეც. მოვეფერეთ ერთმანეთს და დავშორდით.

შედგა მეორე ექსპედიცია თურქეთში. გამოგვიყვეს მანქანა და წავედით. გადავედით ლენინაკანიდან.

ჩავედით ტაო-კლარჯეთში და დავიწყეთ გადაღება. თითქმის ყველა ტაძარი გადავიღეთ. გადავიღეთ ნანგრევებიც. საოცარი სანახაობა იყო. სად არ ვყოფილვართ, მაგრამ ასეთი დიდი შთაბეჭდილება არსაიდან არ წამოგვყოლია. იმ, თუ მთლიანად არა, ნახევრად დანგრეული, ხშირად გუმბათჩამოშლილი, ფრესკებგადასული, ჩუქურთმებჩამოცვენილი ტაძრებიდან ადამიანის ნიჭიერების თვალშეუდგამი სიდიადე შემოგვცქეროდა და მძაფრი განცდითა და სიხარული გვავსებდა.







დაზიანებული იყო თითქმის ყველა ტაძარი და მხოლოდ რამდენიმე იდგა ასე თუ ისე კვლავ თავისი სახით, რომლებიც მეჩეთად ჰქონდათ გადაკეთებული.

ერთ დღეს... პარხალის გადაღება უნდა დაგვწყო. იმ საღამოს ჭოროხის ხეობაში, ერთ-ერთ დარბაზში გავჩერდით ღამის გასათევდ. იქაურმა პოლიციამ მოგვაკითხა სასტუმროში და წაიღო ჩვენი პასპორტები. ჩვენი ბედი, რომ ერთწლიანი ვიზები გვქონდა. სანამ ანკარაში გაგზავნეს შეკითხვა, ორი დღე გავიდა. დედაქალაქიდან დადებითი პასუხი მოვიდა. დაიჯერეს, რომ ჯაშუშები არ ვიყავით, მაგრამ მაინც გვთხოვეს დაგვეტოვებინა იქაურობა.

ის ღამე იქ გავათენეთ. დილით ოთხ საათზე ავუყევით ჭოროხის ხეობას, სადაც გადავიღეთ უბრწყინვალესი ბაზილიკა პარხალი და დავბრუნდით ბურსისაკენ. იქ გავიცანით სერვეტ კიკვაძე – იქაური ქართველი.

გვინდოდა ქართული სოფლების გადაღება. სერვეტი ტურიზმის მიზნესში იყო ჩართული, გაგვაცნო ქართველების ლიდერი **აჰმედ მელაშვილი** (იგი რამდენიმე წლის შემდეგ ექსტრემისტებმა მოკლეს. ღმერთმა გაანათლოს მისი სული). მეორე დღეს ქართული სოფლების გადასაღებად წავედით. შემოგვეხვივნენ და თითქოს სახლში ვიყავით, ისე გვეპატიჟებოდნენ ქართულად. სამი-ოთხი სოფელი მოვიარეთ. გადავიღეთ მათი ყოფა, სახეები, ბავშვები... და, რაც მთავარია, ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. ამით დავამთავრეთ გადაღებები ტაოში.

ჩამოვედით სტამბოლში, სადაც ეს მასალები მაშინვე ჩავაბარეთ საბჭოთა კავშირის საკონსულოს. იმ საღამოსვე გაიქურდა ჩვენი მანქანა. იქ ფირები ეგულებოდათ, მაგრამ არ დახვდათ.

ამით დამთავრდა ჩვენი ექსპედიცია.

შემდეგ გაკეთდა ფილმი. ბევრი სიხარული მოგვიტანა ამ ფილმმა... ჩვენც და მაყურებელსაც.

ირაკლი ონოფრიშვილი
კინოოპერატორი

ვერიკო ანჯაფარიძე – ივდითი.

ვერიკო ანჯაფარიძე

სამი ურიელი და ერთადერთი ივდითი

(დაუმთავრებელი წიგნიდან)

ვერიკო ანჯაფარიძის გარდაცვალებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, მისი დაბადების დღეს, 23 სექტემბერს, ფიქრის გორაზე, ოჯახში, სულ რამდენიმე ადამიანი უსხდა სუფრას. სოფიკომ თქვა: – დედაჩემის ხელნაწერებში ამოვიკითხე – „ჩემი მეგობრები მთხოვენ, დავწერო მოგონებების წიგნი“ (მითითებულია თინათინ კობალაძე).

მრავალი წლის დაგვიანებით ქალბატონ თინას შევეხმიანეთ. ძალიან საგულისხმო ამბები გვიამბო, სევდით გაჯერებული მოგონებები. თქვა, რომ ქალბატონ ვერიკოს გატაცებით უყვარდა თავის უმდიდრეს, ლამაზ წარსულზე თხრობა. ამ დროს თურმე განსაკუთრებულად ბრწყინავდნენ მისი თვალები. ყვებოდა სიცილით, ღიმილით, გატაცებით, სახოვნად, ყველაფერი გუშინდელ დღესავით ახსოვდა.

– ხშირად ვთხოვდი – ამბობს ქალბატონი თინა – მაგრამ ვერადროს იცლიდა მოგონებათა წიგნის დასაწერად.

ოღონდ დაწერეთ და მე სულ თქვენთან ვიქნები, მოგეხმარებით-მეთქი, ვეუბნებოდი. დავითანხმე. დავიწყეთ კიდეც მუშაობა. იგი ჰყვებოდა, მე კი ხან კალმით, ხანაც მაგნიტოფონზე ვიწერდი, მაგრამ ბოლოს, არაო, შენ ვერ მომეხმარებიო, ეს წიგნი მე თვითონ უნდა დავწეროო, თქვა: დაიწყო. მართლაც მის გულში განძად შენახულ, სანატრელ ამბებზე. მე რომ ვიწერდი და გასაოცარი სიმდიდრე მეგონა, უდიდესი განსხვავებით და მომხიბლავობით, სტრიქონსა და სტრიქონს შუა უთქმელად ჩატეული სიტყვით, ისეთი სიბრძნითა და ნიჭიერებით ყვებოდა, ისეთი ძალით, რომ ჩემი ჩანაწერები უფერული გამოჩნდა. მაინც მიყვარს ისინი. მაინც ძვირფას რელიკვიად შევინახე. სულ სხვა იყო, როცა თვითონ მარტო უჯდა მაგიდას და წერდა. მინახავს: დაწერდა ერთ მოგონებას, დაკეცავდა და დადებდა. ბოლო წუთებშიც საწერ მაგიდას უჯდა. უკვე დაღლილი, მაგრამ არა მოტეხილი, არა მოხუცებული, არა დავრდომილი. რა დასანანია, რომ ვერ დამთავრდა ეს წიგნი. მაგრამ იგი, ალბათ მაინც გამოვა, თუმცა ნაკლულად, მაგრამ მაინც... მასში იქნებ არც სტილი იყოს დაცული, არც სინტაქსი, მაგრამ გასწორება არ შეიძლება. ესაა სტიქია, მოზღვავებული, მოვარდნილი, აბობოქრებული, თავისთავადი. იგი იწვის, იგი დუღს და ამ დუღილში კი არ ეძებს, აღმოაჩენს... აღმოაჩენს იმ ერთადერთსა და აუცილებელს, რომელიც აძლევს მას განუმეორებელ სახეს. რაშია საიდუმლო? ნიჭიერებაში? ჰო, რა თქმა უნდა იმ ერთადერთ განუმეორებელ და თავისთავად ნიჭიერებაში. მაგრამ მაინც... ძნელია ამის გამოთქმა.

ვერიკო ანჯაფარიძე – ივდითი.

ერთხელ ასეთი რამ მიამბო: „რომში წმინდა პეტრესა და პავლეს უზარმაზარ სობოროში, სადაც ხელოვნების უამრავი, ძვირფასი განძეულია თავმოყრილი, მარჯვნივ, კუთხეში მოკრძალებით დგას მიქელანჯელოს „პიეტა“ – თავდახრილი მარიამი და მის მუხლებზე დასვენებული ქრისტე. თეთრ მარმარილოდან ჩამოქნილ ქანდაკებას აშუქებს ვიწრო სარკმლით შემოჭრილი მზის სხივი... და თითქოს გამჭვირვალე ხდება შესანიშნავი ქმნილება მიქელანჯელოსი. თითქოს სუნთქავს მარიამი. თითქოს მისი ხელები ვეღარ უძლებენ სიმძიმეს და აგერ, საცაა ქრისტე ჩამოუცურდება კალთიდან. გინდა მიეშველო მარიამს... ცრემლებით ამევსო თვალები, ვეღარ მოვშორდი ქანდაკებას. თითქოს თეთრი მტრედი შემოფრინდაო ამ უზარმაზარ აჭრელებულ დარბაზში, დაჭრილი მტრედი, რომლის ფრთები ოდნავ ფართხალობს. ახლაც თვალწინ მიდგას, ისეთი ძლიერი იყო შთაბეჭდილება... და იცი, მას შემდეგ მუდამ დამყვება და მაშფოთებს ფიქრი, რომ ყველანი უნდა მივეშველოთ მარიამს“...

ასეთი მძაფრი და ძლიერი იყო მისი განცდა ყოველთვის დიდისა და ნამდვილის წინაშე.

რამდენი წელიწადი გავიდა მას შედმეგ, მაგრამ არა და არ მტოვებს ის განცდა, ის ხმა და სიტყვები: ჩვენ ყველანი უნდა მივეშველოთ მარიამს... მივეშველოთო ჩვენსავე სულში, გადავარჩინოთ ჩვენსავე სულში.

დროს ბევრი რამ მიაქვს. ჩვენს თვალწინ ინგრევიან სიყრმის წლებში ჩვენგანვე შექმნილი კერპები... დარჩება მხოლოდ, ის, რაც ნამდვილია. ასეთია ჩემთვის ვერიკო. როგორი საოცრება იყო, როგორი საუბარი, როგორი თხრობა იცოდა, როგორ სახოვნად ყვებოდა... არასოდეს უფრო მშვენიერი ადამიანი არ შემხვედრია.

მე არ მინახავს ჯონ სინგლის გმირი, სველი მინდვრებიდან გამოქცეულ გლეხის ჯანმრთელ გოგონას როლს რომ თამაშობდა. თურმე მაშინ ვერიკო, უდარდელად რომ იცინოდა, ბალახებზე და ველური ყვავილებით სურნელებას აფრქვევდა ირგვლივ... არ მინახავს როგორ იდგა იგი კალათით ხელში ქოხის კედელთან და მზით დამწვარ მუხლებს ათამაშებდა. მე იგი მუდამ სევდიანი და ტკივილით სავსე მახსოვს და ისე ძლიერი იყო ეს შეგრძნება, რომ ერთ ხანს მიკვირდა, მის ხასიათში სხვა თვისებების გამოვლინება.

თეატრი განუმეორებლობითი ხელოვნებაა. ერთი სპექტაკლიც კი არასდროს ერთნაირად არ მიდის სცენაზე, ეს იმიტომ, რომ ის ცოცხალია, ის სუნთქავს, ის განიცდის... სცენა ვერ იტანს გულგრილობას, საშუალოს, სცენას თავდავიწყება უყვარს ხოლო ვერიკო...

ეს იყო 25 წლის წინათ, მარჯანიშვილის თეატრში მიდიოდა კასონას პიესა „ხეები ზეზეურად კვდებიან“. ყველა ჩვენგანს გვახსოვს ის დიდი მღელვარება, რომელიც იმ დღეებში მაყურებელს დაეუფლა იმ ივდითისა და მარგარიტა გოტიეს შემდეგ. ვერიკო ანჯაფარიძე პირველად თამაშობდა ბებიის როლს. ეს იყო რაღაც იდუმალი ტკივილიც. არავის არ უნდოდა იგი ენახა თმაშევერცხლილი, არ უნდა ენახა მოხუცებული, და მაინც ყველა ელოდა. შემდეგ კი თეატრის კარებთან შეჯგუფებული ხალხი, გაოცებული და კვლავ ბედნიერი დიდხანს ელოდა მას შესახვედრად და მადლობის სათქმელად.

რადიო ჩანაწერი ჩემთვის ძალიან ძვირფასია. მათი უმრავლესობა თითქმის ჩემს თვალწინ და ხშირად ჩემი უშუალო მონაწილეობით იწერებოდა. ისე, როგორც ბევრ სხვა დიდ ადამიანთან, ვერიკო ანჯაფარიძესთან მიახლოების უფლებაც რადიომ მომცა.

მიჭირს რაიმე ერთის გამოყოფა, მაგრამ ვინმემ რომ მკითხოს, ამ ხნის მანძილზე რა გააკეთე ისეთი, რაც სიხარულს გგვრისო, რა თქმა უნდა, იმ საფონდო ჩანაწერებზე ვილაპარაკებდი და გამოვყოფდი რადიოსპექტაკლ „ურიელ აკოსტას“. ლიტერატურულ რედაქციაში მისვლის პირველ დღიდანვე მე ამ სპექტაკლზე ვფიქრობდი. მინდოდა იგი რადიოთი მაინც შენახულიყო. რა თქმა უნდა, ძნელი იყო მისი აღდგენა, უკვე ცოცხლები აღარ იყვნენ აღარც უშანგი, აღარც პიერი, აღარც შალვა ღამბაშიძე, აღარც მიხეილ ჭიაურელი... თითქმის აღარავინ... მაგრამ იყო ქალბატონი ვერიკო და კიდევ არსებობდა რამდენიმე უნიკალური საფონდო ჩანაწერი. იყო უშანგის ხმა. იყო პიერის, შალვას, მიხეილ ჭიაურელის, სანდრო ჟორჟოლიანის ხმები, იყო თვით ბოლო სპექტაკლის მთლიანი ჩანაწერი.

წინასწარ მჯეროდა, რომ რადიომსმენელები ინტერესით მიიღებდა მას. ცხადია, ყველაფერი ისე უნდა გაკეთებულიყო, რომ არ შენელებულიყო ინტერესი. არ შენელებულიყო ლეგენდა, რომელიც ამ საოცარ სპექტაკლს მიმზიდველსა და სანატრელს ხდიდა. მხოლოდ ხმითა და მუსიკით უნდა აღმდგარიყო განუმეორებელი პლასტიკაც, ნახაზიც, განათებაც, უნდა აღმდგარიყო ივდითის ღიმილიც... და საერთოდ, ის ბობოქარი დაუოკებელი სული, რაც ამ სპექტაკლს თვით მარჯანიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, დღესასწაულად აქცევდა.

სამი ურიელი გვყავდა: უშანგი, პიერი და იაკობ ტრიპოლსკი. სამწუხაროდ, ვერა და ვერ მოვახერხე სერგო ზაქარიაძის თუნდაც ერთი მონოლოგის ჩაწერა... ურიელის როლს ხომ ისიც ასრულებდა... სურვილი ყოველთვის ჰქონდა, მაგრამ განხორციელება ვერ შესძლო.

გვყავდა ორი სილვა – შალვა ღამბაშიძე და ტარიელ საყვარელიძე. ორი დე სანტოსი – მიხეილ ჭიაურელი და ვასო გოძიაშვილი. ივდითი კი ერთადერთი იყო... დავიწყეთ მუშაობა, სპექტაკლი თავიდან ბოლომდე ახალი ძალებით ჩაიწერა უკრავდა რადიოს ორკესტრი, ყველა სცენა მუსიკის თანხლებით იწერებოდა. ხშირად მუსიკის ხმა სტუდიაში, სადაც მსახიობები იმყოფებოდნენ, იწერებოდა.

და, აი სპექტაკლიც ჩაიწერა. დამთავრდა მონტაჟიც. რადიომსმენელისთვის უნდა გვეთქვა, რა გვინდოდა, რა იყო ჩვენი მიზანი. აქაც პირველი სიტყვა, ცხადია, ქალბატონ ვერიკოს ეკუთვნოდა. რადიოსპექტაკლი მისი სიტყვებით იწყება. იგი ლაპარაკობს დიდ კოტე მარჯანიშვილზე და იმ მძლავრ შემოქმედებით სიხარულზე, რომელიც ამ სპექტაკლს მოჰქონდა, როგორც მსახიობებისთვის, ისე მაყურებლისთვის შემართული და საზეიმო იყო მისი ხმა. მასშია სიამაყე, სინაზეც და სინანულიც. იგი ერთდროულად გაგრძნობინებს ტკივილსაც და სიხარულსაც.

სპექტაკლმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მივიღეთ რამდენიმე წერილი, მადლობა, გაუთავებლად გვთხოვდნენ რადიოსპექტაკლის კიდევ გამეორებას, მადლობას უხდიდნენ ქალბატონ ვერიკოს... მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა, მაგრამ იმ დღეების სიხარული და შთაბეჭდილებები გაუხუნარია ისე, როგორც გაუხუნარია ივდითის ღიმილი, სინათლით რომ ავსებს მეორე მოქმედების დასასრულს, სცენას კი არა, მაყურებელთა გულებს. ამ რადიოსპექტაკლში ჩანს ეს ღიმილი და სინათლე. მას დღემდე შერჩა მიმზიდველობა. იგი საქართველოს რადიოს ოქროს ფონდის ძვირფასი ექსპონატია. ვერიკოს ყოველი ჩანაწერი ჩემთვის განსაკუთრებულ მოგონებებთანაა დაკავშირებული, მაგრამ ამჯერად მინდა, კიდევ ერთი შთაბეჭდილება გაგიზიაროთ, ესეც „გურიელ აკოსტას“ წარმოდგენასთანაა დაკავშირებული. მინდა, გავიხსენო კოტე მარჯანიშვილის საიუბილეო საღამო ამ 26-ოდე წლის წინ. ეს ის დრო იყო, როცა დიდიხ ნის შემდეგ სცენაზე ისევ უნდა გვენახა ივდითი. ცხადია, ზღვა ხალხი მოაწყდა თეატრს. ეს იყო დაუვიწყარი საღამო. და მან ვინც მაშინ თეატრში იყო კიდევ ერთხელ ირწმუნა ხელოვნების დიდი ძალა. ვის დაავიწყდება: მეორე მოქმედების შემდეგ მსახიობმა ხელი მოიტეხა. ცნობამ, რომ იგი ცუდად გახდა, უცბად მთელი თეატრი დაირბინა. საღამოს მარჯანიშვილის იუბილეზე ჩამოსული მოსკოველი სტუმრებიც ესწრებოდნენ. სხვა ქვეყნებიდანაც იყვნენ. საოცარი სანახაობა იყო ხალხი დარბაზიდან არ გადიოდა, გაურკვეველი მოლოდინი აჩერებდა ყველას, შიში და მოლოდინი. გავიდა ოციოდე წუთი, შეიძლება კიდევ მეტიც, ხალხი კი არ მიდიოდა. და უეცრად საავადმყოფოდან დარეკეს რომ სპექტაკლი გაგრძელდებოდა. შემდეგ კი ჩამობნელდა სცენა და ის წამში, როცა ფარდა გაიხსნა ჩვენ დავინახეთ ვერიკო თაბაშირში ჩასმული ხელით. იგი ივდითის თაბაშირში ჩასმული ხელით. იგი ივდითის თეთრ კაბაში ჩაცმული იდგა. გვახსოვს რაღაც საოცარი ტაში. მსახიობი მთლიანად კანკალებდა. იგი სცენის მარჯვენა მხარეს იდგა და მაყურებლებმა შენიშნეს მისი სისუსტისაგან მოკუმშული თითები. იგი ტიროდა და ტიროდა მთელი დარბაზი. ეს ალბათ ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა მან თავის თავს ვერ დასძლია და მაყურებელმა მისი სისუსტე დაინახა.. მაგრამ რა ლამაზი იყო ეს სისუსტე! რაღაც ზეადამიანური, რაც მხოლოდ ნამდვილ ხელოვანს შეუძლია. და აბათ, უბედნიერესი წამიც. სპექტაკლის შემდეგ მსახიობმა სტუმრებს სიტყვითაც მიმართა. მაშინ მან ამ სპექტაკლს „ძველის ნამსხვრევები“ უწოდა. მართლაც დასანანია, რომ ეს საოცარი სპექტაკლი, მისი განუმეორებელი პლასტიკა არ გადავიღე, რაც შეეხება რადიოს... საგულისხმოა, რომ მის ფონდში ამ საღამოს მთიანი ჩანაწერი ინახება. რაღაც დაუსრულებელი ტაში კვლავ, აღადგენს ადამიანების მეხსიერებაში ამ განუმეორებელ წუთებს...

(გაგრძელება იქნება „კვირაძალის საკითხავის“ მომდევნო ნომერში)

ჩანართზე მუშაობდნენ ნინო ხოფერია და კახა ქორიძე

წყალი ჩვენი არსებისა

წყალი, ანუ, ქიმიკოსთა ენით რომ ვთქვათ, წყალბადის ოქსიდი, ბინარული არაორგანული ნაერთია. მისი მოლეკულა წყალბადის ორი და ჟანგბადის ერთი ატომისგან შედგება, რომლებიც ერთმანეთთან კოვალენტურად არიან დაკავშირებულნი. ჩვეულებრივ წყალი უსუნო, უგემო, უფრო და, მცირე ოდენობის დროს, გამჭვირვალე, სითხეა.

ყველაფერი ეს სკოლის ქიმიის კურსიდან ვიცით, ისევე, როგორც ბიოლოგიიდან ვიცით, რომ წყლის გარეშე დედამიწაზე სიცოცხლე ვერც გაჩნდებოდა და ვერც იარსებებდა. არადა, წყალს ბევრი საგულისხმო ინფორმაცია უკავშირდება. კერძოდ, დედამიწის მთელი ფართობის 71 პროცენტი წყლით (ოკეანეებით, ზღვებით, ტბებით, მდინარეებით, ყინულით) არის დაფარული, რაც 361,13 მილიონ კვდრატულ კილომეტრს შეადგენს; აქედან 96,5 პროცენტი ოკეანეების წილია, მსოფლიო მარაგის 1,7 პროცენტი გრუნტის წყლებზე მოდის, კიდევ ამდენივე – ანტარქტიდისა და გრენლანდიის მყინვარებსა და ყინულის საფარზე; მცირე ნაწილია მდინარეებში, ტბებსა და ჭაობებში; კიდევ 0,001 პროცენტია ღრუბლებში.

დედამიწაზე წყლის უდიდესი ნაწილი მლაშეა და სოფლის მეურნეობისთვის და სასმელად გამოუსადეგარია. მტკნარი წყლის წილი 2,5 პროცენტია, რომლის 0,3 პროცენტი ტბებში, მდინარეებსა და ატმოსფეროშია, მის კიდევ 0,003 პროცენტს ცოცხალი ორგანიზმი შეიცავს.

„სიახლე“ ნიკოლ კიდმანის ცხოვრებაში

მსოფლიოს ერთ-ერთი ულამაზესი კინოვარსკვლავი, ავსტრალიელ მულტიმილიონერთა ოჯახის წარმომადგენელი, ჰოლივუდელი ნიკოლ კიდმანი მსოფლიო მასმედიის ყურადღების ცენტრში ყოველთვის არის. ამ ჯერზე კი აჟიოტაჟის მიზეზი 46 წლის ლამაზმანის... მკერდი გახდა.

ასევე ცნობილ ჰოლივუდელ ვარსკვლავთან ტომ კრუზთან განქორწინების შემდეგ, ნიკოლ კიდმანი ცოლად კიტ ურბანს გაჰყვა.

ფოტოჟურნალისტების ყურადღება კი სწორედ მეორე მეუღლესთან ავსტრალიაში გამართულ ერთ-ერთ მეჯლისზე გამოჩენამ მიიპყრო: ნიკოლს დიდი დეკოლტიანი კაბა ეცვა, პაპარაცების მახვილმა თვალმა კი უცბად შეამჩნია, რომ რამდენიმე თვეში კინოვარსკვლავის მკერდმა მოცულობაში ძალიან მოიმატა, თუმცა კი მანამდე მკერდის სიდიდე მის „პლუსად“ არასდროს ითვლებოდა.

ავსტრალიიდან ნიკოლი შანხაიში გაემგზავრა, სადაც ხალხში ამჯერად ყელამდე დახურულ კაბაში გამოჩნდა, თუმცა კი, მისი მკერდის „არაჩვეულებრივი მატება“ არც იქ გამოჰპარვიათ: საქმე ის არის, რომ ჯერ კიდევ ზაფხულში მსახიობი კანის საერთაშორისო კინოფესტივალს სტუმრობდა და მაშინ თავისი ჩვეულებრივი მკერდი „ეკეთა“.

სიცოცხლის ელექსირი

რამდენი სახეობის ხილია დედამიწის ზურგზე, ამას საკითხში კარგად გათვითცნობიერებული ბოტანიკოსების გარდა, დარწმუნებული ვართ, დანამდვილებით ვერავინ იტყვის. ყველას თავისი განსაკუთრებული გემო, სუნი და მოყვანილობა აქვს. თუმცა კი ზოგს რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ისეთი საშინელი სუნი აქვს, რომ მისი საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადატანაც კი აკრძალულია(!) – მხედველობაში გვაქვს ამ ნიშნით გამორჩეული დურიანი, რომელიც ინდონეზიის ტროპიკებში იზრდება. ამავე დროს, ყოფილა ისეთიც, რომელიც სპეციალისტებმა ყველაზე ფუნქციონალურად აღიარეს – ესაა ბაობაბის ნაყოფი.

ეს ამბავი, თავდაპირველად, 2008 წელს ევროპაში, 2009 წელს კი ამერიკის შეერთებულ შტატებში მოხდა. 2010 წლიდან მოყოლებული შვეიცარიული კომპანია „ქოლორ ოფ ლაიფი“ მსოფლიოში ცნობილ ფრანგულ კონცერნ „არკომარმთან“ ერთად გამაჯანსაღებელ კვების პროდუქტს „ბაობაბლაიფს“ უშვებს. აღნიშნული პროდუქტი ბაობაბის ნაყოფის გარდა, აცეროლს (ველურ ალუბალს), შტოშსა და გლუკომანანის კონჟაკს შეიცავს.

აფრიკის სავანების ბინადარი ბაობაბი დედამიწაზე ყველაზე ხანგრძლივად მცხოვრები მცენარეა. მის მერქანს წლიური რგოლები არა აქვს, ამდენად, ასაკის დადგენა მხოლოდ რადიაქტიური მეთოდით შეიძლება. ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე მეცნიერებმა დაადგინეს, რომ **ბაობაბის ნაყოფი ადამიანის ორგანიზმისთვის მეტად სასარგებლოო ანტიოქსიდანტებს, ინსულინს, კალციუმს, მაგნიუმს, ძვირფას ამინომჟავებს, ბუნებრივ ბოჭკოებს, C ვიტამინსა და ბევრ სხვა კომპონენტს შეიცავს.**

ინსულინი ნაწლავურ ფლორას აღადგენს, რბილობის ბუნებრივი ბოჭკოები მათ წმენდენ და მოქმედებას აწესრიგებენ, გლუკომანანის კონჟაკი მადას და ნივთიერებათა ცვლას აწესრიგებს, სხეულის წონას არეგულირებს, არის იმუნოსტიმულატორი, ასევე საუკეთესო იმუნომოდულატორი.

ბოლოს კი იმის თქმა შეიძლება, რომ „ბაობაბლაიფი“ ფხვნილის სახით იყიდება, წყალში ადვილად იხსნება და სასიამოვნო დასალევია.

თქვენ როგორ მოიქცეოდით?



– ტყეში „უპატრონო“... ასი ათასი ევრო რომ გეპოვათ, დარწმუნებული ვართ, ბევრს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოიქცეს, რომ იტყვიან, დიდი ტვინის ჭყლეტა არ დასჭირდებოდა... თუ ვინ რას მოიმოქმედებდა, ეს ცალკე საკითხავია, მაგრამ ჰოლანდიელმა მაგნუს ბრანდტმა ამავე ფიქრით თავი არ „გაიცხელა“ და ნაპოვნი ჩანთა პირდაპირ... პოლიციაში მიიტანა.

სახალისო კი ის არის, რომ ამ ამბავმა ყველაზე მეტად... თავად პოლიციელები გააოცა, მაგრამ, რომ იტყვიან, კანონი კანონია და ამ ამბის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელეს. განცხადებაში, კერძოდ, ნათქვამი იყო, რომ პოლიცია ნაპოვნი ფულის პატრონს ეძებს, რომელიც გარკვეულ ვადაში თუ არ გამოჩნდება, კანონმდებლობის შესაბამისად, ნაპოვნი თანხა... ბატონ ბრანდტს გადაეცემა.

არადა, ფულის პატრონი ჯერაც არ ჩანს...

მრავალფუნქციური ხელჯოხი



თვალისჩინდაკარგულ ადამიანთათვის წინააღმდეგობათა „აღმომჩენი“ ხელჯოხი ჩინელმა სპეციალისტმა უ გუანხაომ შექმნა.

ხელჯოხი ხმარებაში მეტად მოსახერხებელია, მასში სონარია ჩადგმული, რომლის დანიშნულება წინააღმდეგობის ხასიათის დადგენაა, რაც ვიბრაციის სხვადასხვა სახეობის მეშვეობით მიიღწევა. მომხმარებელს, საჭიროების შემთხვევაში, ხელჯოხის სიგრძის შეცვლა, სხვადასხვა ნომინაციის, ასევე ყალბი ფულის კუპიურის გარჩევა შეუძლია და მნიშვნელოვნად ზრდის გადაადგილების უსაფრთხოებას.

გულო, ცეცხლში გახვეულო!..

ძველ ჩინეთში დღე-ღამე დროის 12 მონაკვეთად, „შიჩენად“ იყო დაყოფილი, თითოეულის ხანგრძლივობა 2 საათი იყო. ამ მონაკვეთებს ყველა ჩინელი ექიმბაში ითვალისწინებს, რადგან იქაური მედიცინის თეორიის თანახმად, ადამიანის ყველა შიდა ორგანოს მუშაობა გარკვეულ საათებში აქტიურდება. „უ-შის“ (11.00.13.00) საათებში აქტიურად მუშაობს გულის მერიდიანი.

სწორედ „უ-შის“ საათებში უნდა გაკეთდეს ორგანიზმისთვის აუცილებელი ძალიან მნიშვნელოვანი საქმეები – სადილი და შემდეგ მოსვენება. კვება სხეულს ძალას აძლევს, ძილი კი სულს აძლიერებს. ჯანსაღი სხეულისა და სულიერი სიმშვიდის მქონე კაცი კი ავად არ გახდება.

სადილის შემდეგ მოსვენება გულის სისხლძარღვთა დაავადებათა თავიდან აცილების ჩინებული საშუალებაა. ორგანიზმის მერიდიანებით სისხლთან ერთად ენერგია „ციც“ ტრიალებს. სხვადასხვა დროს სისხლი და ენერგია „ცი“ ადამიანის სხეულის სხვადასხვა ნაწილსა და ორგანოში ცირკულირებენ, ხოლო „უ-შის“ საათებში ისინი გულის მერიდიანზე ერთად მოძრაობენ. ამიტომ თუკი კარგად დავანაყრებთ სისხლს და „ცის“ ენერგიასაც გავაძლიერებთ, ჩვენი გულიც გაძლიერდება, მისი სისხლძარღვებიც კარგად იმუშავებენ. ასეთ პირობებში კი გულის კორონარული ავადმყოფობა არასოდეს დაგვემართება.

და კიდევ ერთი: ჩინური „უსინის“ ეგრეთ წოდებული „ხუთი სტიქიონის: ლითონის, ხის, წყლის, ცეცხლისა და მიწის“ თეორიით, გულის სტიქია ცეცხლია და „იანის“, ანუ მდედრული ენერგიის მხარეს წარმოადგენს.

დედამიწის ზურგზე

პუტინი და მერკელი 2,5 საათის განმავლობაში საუბრობდნენ: „გრძელდება სერიოზული აზრთა სხვადასხვაობა“

„ხანგრძლივი და დეტალური საუბრის დროს პუტინმა და მერკელმა მოახდინეს „საათების შემოწმების“ მეტად წვრილმანი რეალიზაცია მინსკის ხელშეკრულებებთან დაკავშირეით.. აქცენტი გაკეთდა უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთში დაპირისპირებული მხარეების დაცილების დამთავრების პირველხარისხოვან მნიშვნელობაზე, – გვაცნობა კრემლის პრეს-მდივანმა.

* * *

თანამედროვე ხელოვნება: პარიზის ცენტრში უზარმაზარი სექს-სათამაშო გაჩნდა. ავტორს სურდა საახალწლო ნაძვის ხე გამოეხატა

გასაბერი „ხე“ ვანდომის მოედანზე შექმნა ამერიკელმა მხატვარმა პოლ მაკარტიმ და წარმოდგენილია თანამედროვე ხელოვნების ბაზრობის ფარგლებში. იგი უხერხულ მდგომარეობაში აყენებს როგორც ჩვეულებრივ გამვლელებს, ისე ულტრა-მემარჯვენე აქტივისტებს, რომლებიც გამოდიან ჰომოსექსუალური ქორწინებების აკრძალვისათვის.

* * *

111 იაპონელმა პარლამენტარმა მოინახულა იასუკუნის „მილიტარისტული“ ტაძარი, პრემიერმა კი ძლვენი გამოგზავნა

იმ პოლიტიკოსებს შორის, რომლებიც ტაძარში შევიდნენ, იყო, კერძოდ, შემჩნეული გარემობუნების მინისტრის მოადგილე იასუხირო ოძატო. სინძო აბემ, რომელიც ამჟამად იტალიაში იმყოფება, სადაც მონაწილეობას ღებულობს „აზია-ევროპის“ ფორუმის მეათე სამიტში, ტაძარს გამოუგზავნა „თამასუგი“ – თეთრი ბაფთით მოქარგული იაპონური ხის საკაკის ტოტი.

* * *

ჰონკონგის პოლიციამ აიღო მოპროტესტოთა ბარიკადები კიდევ ერთ რაიონში

ხუთშაბათს დილით ადრე რამდენიმე ასეულმა პოლიციელმა აიღო ბარიკადები, რომლებიც გაშლილი იყო დემოკრატიული არჩევნებისათვის აქციის მონაწილეების მიერ. მრავალრიცხოვან კვარტალ მონგკოკში. ეს რაიონი რჩებოდა პროტესტის მონაწილეთა ერთადერთი საყრდენი მეგაპოლისის მატერიკის ნაწილში – კოულუნის ნახევარკუნძულზე.


ღვთისმშობლის საფლავის ტაძარი.

ბაბუაჩემს ყამუ ფიფიას, ოდის გვერდით ჯარგვალი ედგა. ჯარგვალში ქვევრები ჰქონდა ჩაყრილი. მხოლოდ წელიწადის გამორჩეულ დღეებში იღებოდა ჯარგვლის კარი და ამ დღეებს „ღორონთიში დღალებს“, საღმრთო დღეებს უწოდებდა ჩემი წინაპარი. იმ დღეებში მთელს არეს მოეფინებოდა თაფლის სანთლისგან ჩამოქნილი კელაპტრის ღვთაებრივი სურნელება. წელიწადში რამდენჯერმე იკრიბებოდნენ „კერძ-მოჯგირეები“ – ახლობელ-ნათესავები აქ და იყო ღვთის თაყვანისცემა და ერთმანეთის სიყვარული. სტუმრები და მეზობლები „ყამუს მარანს“ უწოდებდნენ ამ ჯარგვალს, მაგრამ ყამუ მას „წმინდა ლაგვანს“ ეძახდა.

– რატომ ეძახი „ლაგვანს“ ამ ჯარგვალს, ბაბუ?... – ვკითხე ერთხელ. „ბაბუს სახეზე სიამოვნების ღიმილი გადაეფინა და კმაყოფილება შემდეგი სიტყვებით გამოხატა: – ამდენი ხანია და არავის უკითხავს ეს აქამდე!... – წამოდგა, პირჯვარი გადაისახა და შუბლზე მეამბორა.

– ...ჯერ კიდევ მაცხოვრის მობრძანებამდე, პავლესთინაში იყო ქალღმერთი „ლაჰერმა“ და იგი ცხოვრობდა ქვეყანაში, რომელსაც მისივე სახელი ერქვა. ამ ქვეყნის მეფე იყო ქრისტეს პეპუ... ბაბუას ბაბუა, და დათა ერქვა! ამ დათას გამოქვაბულში უკვდავების წყლისთვის ჭა ჰქონია დაბინული... და ამ ჭას ლაგვანი ერქვა!... ამიტომაც ჰქვია ჩემს მარანსაც ლაგვანი... ღმერთის მისართმევი ნუნუას შესანახი ქვევრი!....

იმდენად გავვოცდი მონაყოლით, რომ ვერ ვკითხე, საიდან იცი ეს ამბავი-მეთქი. მართალია, თავის დროზე მდიდარი მწყემსი იყო ყამუ ფიფია, მაგრამ უსწავლელი გახლდათ და... წლების შემდეგ, ბიბლიურ ფოლიანტებში ჩავიხედე და აღმოვაჩინე იუდეველთა უდიდესი მეფის – „დავითის ჭა“ – „ლაკვანი“! ასე,რომ სამი ათასი წლის წინიდან, თუ უფრო შორიდან, მოდის მეგრულში სიტყვა, – „ლაგვანი“!

ბაბუაჩემი წელიწადში ორჯერ ძღვენით ხელში შემოივლიდა სამეგრელოს ეკლესია-მონასტრებს. კარგად იცნობდა იქაურ მღვდელ- მონაზვნებს და, ალბათ, მათგან იცოდა ყოველივე!... მათ კი, ისტორიანი ასწავლიდათ იმ სამი ათასი წლის წინანდელ სინამდვილეს. ...მაშინაც ბობოქრობდნენ საუკუნეები ჩვენთანაც და მაშინაც გვქონდა, ალბათ, სისხლხორცეული თუ კულტურული ნათესაობა პალესტინა-გალილეასთან.

...„ლაკვანი“, „ქი-ან-ა“, „ტობა“ და ა.შ.!

...ამიტომაც გავიხსენე ყამუს მონაყოლი ლეგენდა ამჯერად.

....ამიტომაც ვართ მე და ჩემი ოჯახი ახლა იერუსალიმში და ვაპირებთ „ბეით ლაჰამის“ მონახულებას!

ვაპირებთ, მაგრამ არ ვიცი, როგორ მოხერხდება ეს!... სამწუხაროდ, ცეცხლის ალივით აღმართულა მკაცრი კედელი ორ მეზობელ ქვეყანა შორის! თანაც, ეს დღეები იმ უბედურებას დაემთხვა, როდესაც ცაში რაკეტები ებრძოდნენ ერთმანეთს და პალესტინაში და იორდანიაში გადასვლა სახიფათო გამხდარიყო! ის კი არადა, გუშინ თუ გუშინწინ ისრაელის თავდაცვამ, მადლობა ღმერთს, ჰაერშივე გაანადგურა „იქიდან“ ნასროლი რაკეტები. მათი ნამსხვრევი კი, იმ სამეცნიერო ცენტრის კიდე-განში ჩამოვარდა, სადაც ჩემი ია იმყოფებოდა ექვსთვიანი სამეცნიერო მივლინებით... მანამდე კი, იას და საბამ, ერთი თვის წინათ, უკვე მოინახულეს ბეთლემის სიწმინდეები! მადლობა უფალს!... საბა ჩემი ბიძაშვილისა და იამ ნათლიის შვილიშვილი გახლავთ. იერუსალიმში მათი სამეცნიერო მივლინებები ერთმანეთს დაემთხვა...

ჩვენი შვილების თვალითა და გონებით დანახული ბეთლემიც საამაყო და უწმინდესია ჩვენთვის.

და, არა მარტო ჩვენთვის!...

...ბეთლემი ერთ-ერთი უწმინდესი სალოცავია ქრისტიანთათვის!

... ამას სათავე დაედო იმპერატორ ავგუსტუს ოქტავიუსის დროს, როცა მან მოსახლეობის საყოველთაო აღწერა გამოაცხადა. ყოველმა იუდეველმა მიიღო მონაწილეობა მასში.

...ნაზარეთიდან ბეთლემს ჩამოვიდნენ მარიამი და იოსებიც, რათა თავიანთ ბაბათში ჩაწერილიყვნენ იმპერიის ქვეშევრდომთა სიაში.

ამ დროს, მარიამი სულიწმინდისგან უკვე იყო მიდგომილი.

იოსებს კვლავ ეხილვნენ ანგელოზნი:

– „იოსებ დავითის ძევ, ნუ შიშობ, მოიყვანე მარიამი, ცოლი შენი, რადგან ვინც მასშია ჩასახული, სულიწმიდისგან არის და შობს ძეს და უწოდეთ მას იესო!“.

...ბეთლემში არც ერთი სასტუმრო სახლი არ აღმოჩნდა თავისუფალი. ამიტომ, მწყემსთა გამოქვაბულს შეაფარეს თავი. ...და მოხდა ის, რაც „ამ ქვეყნად გამოუთქმელად მაღლა დგას, – „იშვა მაცხოვარი, ვითარცა ჭეშმარიტება და სიყვარული“!

...ანგელოზთა დასი გამოეცხადათ უდაბნოში გასულ მწყემსებსაც: – „აქებდეს ღმერთსა და იტყოდეს: – დიდებაი მაღალთა შინა ღმერთსა და ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება!“ (ლუკა. 2. 13-14). მწყემსები შეიკრიბნენ და უთხრეს ერთმანეთს: – „წავიდეთ ბაით-ლაჰამს და ვნახოთ, რაც უფალმა გვაუწყა!“ ...და გაეშურნენ მწყემსები ბეთლემს და იხილეს ბაგაში მწოლიარე ყრმა.

...აღმოსავლეთში მოგვებსაც გამოეცხადათ ვარსკვლავი.

მოგვებმაც ნახეს ყრმა და მიართვეს ძღვენი: – ოქრო, როგორც მეფეს, მური, როგორც ადამიანს და გუნდრუკი, როგორც ღმერთს!...

...და ეხარა მთელს ქი-ან-ას სიხარული ღვთიური!

...მაგრამ შურით აღივსნენ მოშურნენი!... და იყო 14 ათასი ყრმის ხოცვა და ჟლეტა! იყო ღვთის მადლი და სათნოებაც, მაგრამ იყო უღვთოობაც ჰეროდესი...

...და კვლავ ეჩვენა ანგელოსი ღვთისა იოსებს და ჰრქვა: – „აღსდექ ამ ღამესვე, არ დააყოვნო მცირე ხანიც, ეხლავე წაიყვანე ყრმაი იგი და დედაი მაგისი...ნუ დაზოგავ თავს და განერიდე ეგვიპტედ და იყავ მუნ, ვიდრემდე გრქვა შენ!“ (მათე).

...მაშინ კი, რაჟამს აღესრულა ჰეროდე, ანგელოზები კვლავ ეწვივნენ იოსებს და რქვეს: – „ახლა კი, აღსდექ და წარიყვანე ყრმაი იგი და დედა მაგისი და წარვედ იერუსალაიმს!“.

...და დაიწყო მძიმე გზა უდაბნოსა ზედა ეგვიპტიდან ისრაელამდე.

...და ჩავიდა წმინდა ოჯახი ისრაელს და დაემკვიდრა მშობლიურ ქალაქს, ნაზარეთს! გზად ზეთისხილის მთად წოდებული ელიონის მთაც გაიარა წმინდა ოჯახმა და იოსებმა გეთსემანიის ბაღჩაბაღში შესწირა უფალს მადლი.

...ჩვენც ბეთლემიდან მობრუნებულები, სწორედ, ამ მთიდან გადავყურებთ ახლა, არეს!

... და განვიცდით ნანახს: – ორფა კედლები ყოფს ბეთლემის მისადგომებთან ორად ქვეყანას და გული მწყდება, რომ ზეთისხილის ბაღიდან ათიოდე კილომეტრში არის წმინდა ბეთ-ჰალაიმი და ყველა ყოველთვის ვერ ახერხებს ასვლას იქ!

...ბეთლემთანაც აღუშენებიათ ქართველ მამებს წმინდა სალოცავები. ოდესღაც აქ უღვაწიათ წმინდა მამებს, – პეტრე იბერს, იოანე ლაზსა და სხვებს და ჰქონიათ ქართველთ ტაძრები. დღეს კი მათი ნაკვალევიც არსაიდან ჩანს!.

...სამი წვერი აქვს ამ მთას. ერთზე ებრაული უნივერსიტეტია, მეორეზე – ლუთერანული საავადმყოფო, მესამეზე კი – რუსული მონასტერი! გაღმა, ქებრონის ხევს გაღმა, იერუსალიმის უძველესი გალავანია. ხევს გაღმა-გამოღმა მდიდარ და გამოჩენილ ებრაელთა საფლავებია. აქვე განისვენებენ დავით მეფის აჯანყებული ერთადერთი შვილი და 36 წინასწარმეტყველთაგანნი– მალაქია და ზაქარია...

...როგორადაც არ უნდა გაგიკვირდეთ, აქ წინასწარ არის მონიშნული ცნობილი მუსიკოსისა და მომღერლის ალა პუგაჩოვას მამავალი საფლავის ნიში!...

...მაგრამ გეთსემანიას ადიდებს ლუსკუმა, სადაც განისვენებს ზეციური მადლით ცხებული დედის, ღვთისმშობლის წმინდა ნაწილები! აქ სათნოებასავით აღმართულან ტაძრები მიძინებისა და საფლავისა!

...და აქ არის სიმდაბლეც კაცთა, სადაც იუდა ისკარიოტელმა „თორმეტ გროშად“ გაყიდა იესო!

...და კიდევ, ზეთისხილის ბაღთან არის ერთი შესანიშნავი ტაძარიც, რომელსაც სიმბოლური სახელი ჰქვია, – „ყველა ერის ტაძარი“!

ოდესღაც, ზეთისხილის მთა ხიდით უკავშირდებოდა იერუსალიმს. სწორედ ამ ხიდზე გადაიარა მაცხოვარმა. ძლევამოსილი შარავანდედით შეაღო იერუსალიმის მძლავრი კედლის ოქროს კარიბჭე და დიდებით შევიდა იერუსალიმში!

...ეს კარიბჭე, თურქთა ძლევამოსილმა სულთან სულეიმანმა 1541 წელს ამოქოლა და მის მისადგომებთან მუსლიმთა საფლავები გამართა!.. – როცა მაცხოვარი დაბრუნდება, ვერ გადააბიჯებსო ამ „წინაღობას“!...

ჰო!... ჰო!... ეს ქმნა იმ სულეიმან დიდმა, რომელიც ქართველთა კინოგმირი გამხდარა დღეს!... აბა!!

გაგეცინათ?... რას იზამთ! – ხან სიცილი ცრემლზე უფრო მწარეაო, უთქვამთ!

...მაგრამ, დიდება უფალს, ქრისტიანობამ, მერეც მრავალჯერ გადააბიჯა ამ „აკრძალვას“!... კარიბჭე კი, ამოქოლილი დარჩა!...

გეთსემანიის ბაღს კი, სამარადჟამოდ შემორჩა იესოს მადლი!

როგორც მემატიანენი გადმოგვცემენ ელიონის მთაზე დიდებით მოღვაწეობდნენ ქართველი წმინდა ბერებიც, მაგრამ, ალბათ, მათ ნაკვალევს ვერც აქ მიაგნებს ქართველი!!

– თუმცა... თითქოს,ზეციდან მოგვეფინაო ქართულად წარმოთქმული ბგერები:

– თქვენ ქართველები ბრძანდებით?

...ზეთისხილის ბაღში ათასწლოვანი ზეთისხილი ხარობს დღესაც! ბაღში დამთვალიერებლებს არ უშვებენ. – სუვენირებად მიაქვთო ტურისტებს ტოტები! – გვითხრა რამიმ, ზეთისხილის ბაღის მებაღემ და დაგვპირდა:

– მე არაბი გახლავართ, მაგრამ ქრისტიანი არაბი!... ჩემი წინაპრებიც აქ მუშაობდნენ მებაღეებად... ჩემი შვილიც აქ იქნება მებაღედ, ალბათ!... ღვთისმშობლის სასუფეველს თაყვანს რომ მიაგებთ, მერე მობრძანდით და ფოტოებსაც გადაგაღებინებთ და სუვენირებსაც მოგიხერხებთ!... ქართველები ხართ და უფალი გვაპატიებს!... აქ ყოველ ძირ ზეთისხილს ქრისტე ახსოვს! – დაგვაკვალიანა რამიმ. და ჩვენც დაველოდეთ ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის გაღებას.

მალე დადგება 12 საათი... დრო, ტაძრის ალაყაფის კარის გახსნისა!

...პაპანაქება მზეს „გავექეცით“ და გალავნის ჩეროს შევაფარეთ თავი.

...საფეხურები დაბლა ჩადის. კაშკაშა ნათელით გაბრწყინებული ღვთისმშობლის საფლავის ტაძარი მადლით ავსებს გეთსემანიას!

...ზუსტად თორმეტზე ფართოდ გაიღო ტაძრის კარები და მოწიწებით ჩავუყევით კიბეს წმინდა ქვაბულისკენ.

...ერთი, ორი... ოცი... ორმოცდაათამდე საფეხურს ჩავყავართ დედა ღვთისმშობლის ლუსკუმასთან და ტაძრის უზარმაზარ სივრცეში ჩანს კიდევ ერთი, ვიწრო შესასვლელი...

თავს ვხრით და ასე, წელში მოხრილნი, შევდივართ.

– წმინდაო მარიამ, შენ დაიფარე მამული ჩვენი! შენ დაიფარე ოჯახი ჩვენი! შენ გაუმარჯვე მეგობარ-ნათესავთ! შენ განანათლე გარდაცვლილთა სულები!.. – მოვთქვამთ ჩურჩულით გულიდან ამოსულ ხვეწნას და თაბახებზე ჩამოწერილ სიას ვუშვებთ ოჭკორიეში. ცალ-ცალ თაბახზე არის ჩამოწერილი ჩვენი ცოცხალი და გარდაცვლილი მეგობრების სახელი და გვარები.

...სასუფეველის ლოდზე თავდამხობილებს ჩაგვესმის მოულოდნელი ხმა:

– თქვენ ქართველები ბრძანდებით?

ლოცვებით გართულთ არც შეგვიმჩნევია როდის შემოვიდა წმინდა საკანში შავ ანაფორაში ჩამოღვენთილი ყმაწვილი.

– დიახ, შვილო!... – ჩვენმა აღტაცებამ დაიგუგუნა მოკრძალებული სიმშვიდის სივრცეში, – ჩვენ, ჩვენი ცოცხლად მყოფთა და გარდაცვლილთა სია დავდეთ აქ, მაგრამ ვინ წაიკითხავს ქართულად დაწერილს?!...

– ქართულად მე წავიკითხავ, უკლებლივ ყველას!...

მადლი მოვახსენეთ და დარბაზში შევედით ერთად.

– ...დაილოცოს მისი სახელი!... წმინდა მარიამი, მიძინებამდე აქვე ცხოვრობდა იოანე ნათლისმცემლის სახლში. იქვე მიიძინა და ანდერძისამებრ, აქვე დაკრძალეს გეთსემანიის ქვაბულში, იუსსაფათის ველზე, ზეთისხილის მთასა და იერუსალიმის მაღლობს შორის, სადაც მისი მართალი მშობლები და იოსებ დამწინდველი განისვენებენ!... – გამართული ქართულითა და მოკრძალებით გვახსენებს ყმაწვილი მღვდელი და თვალები უბრწყინავს.

– სამი წელია, აქ ვარ, ამ ტაძარში და პირველად ვესაუბრები ქართულად ქართველებს!...

მადლობა უფალს!...

– სადაური ხარ, ძვირფასო?... – ვუბედავ შეკითხვას.

– ახალციხიდან გახლავართ!... იერუსალიმში დავამთავრე სომხური სასულიერო სასწავლებელი...

– როგორ მოგმართო, შვილო?

– მე აქაურად ათანასე მქვია და ესაა ჩემი სახელი!.. – გუმბათისკენ აღაპყრო მზერა და დაგვლოცა: – წმინდაო ღვთისმშობელო, ბედნიერად გვიმყოფე ჩვენი საქართველო!...

– ამინ!... – სიყვარულით ვეამბორეთ ერთმანეთს, სამახსოვრო სურათებიც გადავიღეთ ტაძრის დარბაზშივე და აღმა ავუყევით აღსავლის კიბეს.

...ქართველებს ოდესღაც აქაც ჰქონიათ წმინდა სალოცავები, მაგრამ.... დღეს მათ ნაკვალევს აქაც ვერ მივაგენით!... კიდევ კარგი, რომ ათანასემ დაგვლოცა ქართულად!...

...აქედან გზა აღმართს მიუყვება, – „ვია-დოლოროსასკენ“ მიმავალი გზა!

ზაურ ფიფია.
წმინდა მიწა
(გაგრძელება იქნება)

7. ბეთლემი და გეთსემანია

ღვთისმშობლის საფლავის ლუსკუმა.


ამ ზეთისხილის ხეს ქრისტე ახსოვს!

◎ ხელბურთი

ესტონეთთან მატჩის წინ

საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები 29 ოქტომბერს 2018 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პირველ მატჩს გამართავს ტალინში ესტონეთის ნაკრებთან, 2 ნოემბერს კი ბალტიისპირელებს თბილისის სპორტის სასახლეში უმასპინძლებს. ამ ორთაბრძოლებისთვის მონდომებით ემზადებიან ქართველი ხელბურთელები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც უცხოურ კლუბებში თამაშობენ. მართალია, ტრავმირებულია ვეტერანი სერგო დათუკაშვილი, მაგრამ, როგორც თავად ამბობს, ოქტომბრის ბოლოსთვის სათამაშოდ მზად იქნება და ტალინში ჩავა. მისმა გუნდმა „ვოივოდინამ“ ქართველის გარეშე ორი მატჩი გამართა სამხრეთ-აღმოსავლეთის ლიგაში — სერბებმა სტუმრად ფრედ — 25:25 ითამაშეს ბოსნიის „ბორაცთან“, ხოლო ბელარუსში 22:34 წააგეს „მეშკოვ-ბრესტთან“. „ვოივოდინას“ 7 თამაშიდან 2 ფრე აქვს და მეცხრე ადგილზეა, ხოლო 36 წლის დათუკაშვილი ლიგის ბომბარდირთა სიაში 5 მატჩში გატანილი 20 გოლით მეოცე ადგილზეა.

მაკედონიის ჩემპიონატს ოთხი მატჩიდან ამდენივე მოგებით ლიდერობს რევაზ ჭანტურიას „ზომიმაკ-სტრუმიცა“. ბოლო ტურში მან სტუმრად დაამარცხა „რაბოტნიჩკი“ — 32:26, ხოლო ქართველმა გარემარბმა 4 ბურთი გაიტანა (სულ მის ანგარიშზეა 18 გოლი).

რუმინეთში პირველად დამარცხდა მეკარე შოთა თევზაძისა და ვლადიმერ რუსიას „ოდორჰეი“ — სტუმრად ბუქარესტის CSM-თან - 20:27. რუსიამ 3-ჯერ გამოიჩინა თავი (30 გოლი 7 მატჩში). კლუბს 7 თამაშიდან 14 ქულით (2 ფრე, 1 წაგება) მესამე ადგილი უკავია „ბაია მარესა“ და „კონსტანცას“ შემდეგ.

დამარცხდა ირაკლი ჩიქოვანის კლუბი „პოლიტექნიკაც“ — ტიმიშოარელებმა შინ ბუქარესტის „სტიაუასთან“ წააგეს — 22:24 და მასპინძლებში ქართველი ხელბურთელი 6 გოლით გამოირჩა. ჩიქოვანმა 8 მატჩში 35 გოლი მიითვალა, მისი კლუბი კი 3 მოგებით მეცხრე ადგილზეა.

თურქეთში გიგა ტორონჯაძისა და რატი მსხვილიძის კლუბი „ტრაბზონსფორი“ ჯერჯერობით წარუმატებლად ასპარეზობს — ერთი მოგება 4 თამაშში. ბოლო ტურში „ტრაბზონი“ სტუმრად დამარცხდა ანკარის „ანაფენ კოლეჯთან“ — 22:23. მსხვილიძემ ამჯერად 5 ბურთი იკმარა. 4 შეხვედრაში კი მის ანგარიშზეა 33 გოლი.

ლეძსო ციწცაძე

სურათზე: ირაკლი ჩიქოვანი „სტიაუასთან“ მატჩში.

◎ მამულიშვილი

„ვეფხვის“ მძლეველი ქართველი ფალავანი



გურამ საღარაძე ქართველი საზოგადოების საყვარელი ადამიანია. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი მრავალმხრივი ნიჭითაა აღსავსე, ჭიდაობაში კი მისი ბადალი ფალავანი ნაკლებად თუ მოიძებნება. ბატონი გურამის ორთაბრძოლები დღემდე გულშემატკივართა მოგონების და განსჯის საგანია, განსაკუთრებით კი ქართველ ქომაგებს საღარაძისა და ირანელი ჰაბიბის შერკინება ახსოვთ.

გურამ საღარაძის მეტად მდიდარ სამედლო კოლექციას ოლიმპიური ოქრო აკლია, თუმცა, ტოკიოს თამაშების კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ფეხი რომ ვერ შედგა და ვერცხლით „დაკმაყოფილდა“, არაობიექტური და მიკერძოებული მსაჯობის ბრალია.

„1964 წელს ტოკიოს ოლიმპიადაზე მეტი გამოცდილება რომ მქონოდა და გუნდის მწვრთნელებსაც ყურადღება გამოეჩინათ, ოქროს მედალი მე დამრჩებოდა. თურმე თურქი ისმაილ ოგანი, რომელიც ეშმაკობით გამოირჩეოდა, ოლიმპიადის მსვლელობისას ყველაფერს ყურადღებას აქცევდა და ჩემს წონასაც თვალყურს ადევნებდა, რადგან წინასწარ გათვლილი ჰქონდა, რომ თუ ჩვენი შეხვედრა ფრედ დამთავრდებოდა და იგი უფრო მსუბუქი აღმოჩნდებოდა, პირველ ადგილს დაიკავებდა. როდესაც თურქს შევხვდი, მას ცხიმი ჰქონდა შეზელილი და ხელი ისე მისრიალებდა, რომ, ფაქტობრივად, მოწინააღმდეგისთვის მისი მოკიდება არ შემძლო. ორჯერ იძულებული გავხდი ჭიდაობა შემეჩერებინა და მსაჯისთვის მიმემართა, თუმცა, ამან შედეგი არ გამოიღო, რადგან რეფერიმ ოგანს გაფრთხილება არ მისცა. ჩანს, ჭიდაობაში კორუფცია ჰყვაოდა და თურქებისთვის მსაჯის მოქრთამვა უცხო ხილს არ წარმოადგენდა. მთელი საჭიდაო დროის განმავლობაში ოგანი პასიურობდა და ორთაბრძოლას გაურბოდა. ჩვენი ჭიდაობა კატა-თაგვობანას დაემსგავსა და საბოლოოდ ამის გამო მეტოქეს ილეთი ვერ ჩავუტარე. შედეგად ორთაბრძოლა ფრედ დამთავრდა, არადა, დღევანდელი წესებით ოგანს პასიურობისთვის ორთაბრძოლიდან აუცილებლად მოხსნიდნენ. ჭიდაობა როდესაც დავასრულეთ, ორივე აგვწონეს და ვინაიდან ტურნირის მსვლელობისას ყველა მაჩვენებელი ერთნაირი გვქონდა, ხოლო თურქი ჩემზე 400 გრამით მსუბუქი აღმოჩნდა, ოლიმპიადის ჩემპიონი ის გახდა. სხვათა შორის, როგორც შემდეგ შევიტყვე, ოგანი ვიდრე მე შემხვდებოდა, ორთქლის აბანოში შესულა, რათა წონა დაეკლო. იმ ოლიმპიადაზე ჩემთვის კიდევ ერთი ცუდი ფაქტი მოხდა, რომელშიც, ალბათ, ისევ მეტოქეთა გუნდების ხელმძღვანელები იყვნენ ჩარეულნი. კერძოდ, ოგანთან ჭიდაობამდე ინდოელ სინგხს შევხვდი, რომელსაც ორთაბრძოლისას 30 ქულა ავართვი, მაგრამ მაშინ აშკარა უპირატესობის გამო, მოჭიდავეს „წმინდა“ გამარჯვებას არ ანიჭებდნენ და იძულებული გავხდი მთელი დრო საჭიდაო ხალიჩაზე დამეყო. ერთ ეპიზოდში სინგხი წავაქციე და ის ბეჭებით ხალიჩასაც შეეხო, რის დასტურად ხალიჩის არბიტრმა მანიშნა: წაქცეულია და ხელი გაუშვიო. მეც მას დავემორჩილე და წამოვდექი, მაგრამ გვერდითმა მსაჯებმა და მთავარმა რეფერიმ მხარი აღარ დამიჭირეს და მხოლოდ ქულებით გამარჯვება მომანიჭეს, როდესაც შეხვედრა „წმინდად“ მქონდა მოგებული. შემდეგ, როცა გავაანალიზე, მივხვდი, საქმე „ჩაწყობილი“ იყო. ჩემთვის „წმინდა“ გამარჯვება რომ მოენიჭებინათ, აწონა აღარ დამჭირდებოდა და ოლიმპიური ჩემპიონი გავხდებოდი. ხანდახან ახლაც მესიზმრება ეს ეპიზოდები და სიმწრის ოფლში ვცურავ“, — იხსენებს ბატონი გურამი ტოკიოს ოლიმპიადის პერიპეტიებს.



წლეულს გურამ საღარაძეს დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ტოტალიზატორ „ლიდერ-ბეთში“ სახელოვან მოჭიდავესა და ბრწყინვალე პიროვნებას შეხვედრა მოუწყვეს, სადაც ვეტერანმა ფალავნებმა, ჟურნალისტებმა, ბატონი გურამის მეგობრებმა მის სპორტულ ტალანტზე, ადამიანურ თვისებებზე ისაუბრეს, დღეგრძელობა და ჯანმრთელობა უსურვეს. ჩვენც ყველა მილოცვას ვუერთდებით და ბატონ გურამს კვლავინდებურად სულისა და ჯანის სიმრთელეს ვუსურვებთ.

კობა კობახიძე

◎ ჩოგბურთი

დავიდენკო კორტიდან წავიდა

მსოფლიო რეიტინგის ყოფილმა მე-3 ნომერმა, რუსმა ნიკოლაი დავიდენკომ ჩოგბურთიდან წასვლის გადაწყვეტილება მიიღო. აღნიშნულ ინფორმაციას bbc.com ავრცელებს.



დავიდენკო მუდმივმა ტრავმებმა აიძულა, რომ კარიერა დაესრულებინა.

„ბოლო წლებში ბევრი ტრავმა მქონდა, რაც ძალიან დიდ დისკომფორტს მიქმნიდა“ — განაცხადა დავიდენკომ.

33 წლის ჩოგბურთელმა ერთეულთა თანრიგში 21 ტურნირი მოიგო, ხოლო წყვილთა თანრიგში 2 ტიტული მოიპოვა. ნიკოლაიმ ჩოგბურთის თამაშით 16 მილიონი ამერიკული დოლარი გამოიმუშავა. მსოფლიო რეიტინგში რუსის საუკეთესო მაჩვენებელი 2006 წელს მე-3 ადგილი იყო. დავიდენკო ორჯერ გავიდა ამერიკის ღია პირველობის ნახევარფინალში და ასევე ორჯერ იმყოფებოდა საფრანგეთის ღია პირველობის ნახევარფინალში. მან ლომის წილი დაიდო რუსეთის მიერ 2006 წელს დევისის თასის მოგებაში. ყველასთვის მოულოდნელად რუსმა 2009 წლის შემაჯამებელ ტურნირშიც იმარჯვა.

დავიდენკო იმ იშვიათთაგანი ჩოგბურთელია, რომელსაც რაფაელ ნადალთან ურთიერთშეხვედრებში დადებითი ბალანსი აქვს — 6:5.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

პიკე კატალონიის დამოუკიდებლობის მომხრეა, შაკირა — არა

„ბარსელონას“ მცველი ხერარდ პიკე კატალონიის დამოუკიდებლობის გულმხურვალე მხარდამჭერი ყოფილა, რაც ძალიან არ მოსწონს მის მეორე ნახევარს, კოლუმბიელ მომღერალ შაკირას, რომელიც ვერ ხვდება, 21-ე საუკუნეში რა აქვთ გასაყოფი კატალონიელებსა და ანდალუზიელებს.

ხერარდს ადრეც უთქვამს, რომ ის და შაკირა კატალონიის დამოუკიდებლობის საკითხზე ვერ თანხმდებიან და ეს კატალონიელ ფეხბურთელს ძალიან არ მოსწონს, თუმცა, შაკირას ვერ ეწინააღმდეგება. კატალონიელები უკვე ათწლეულებია, ცდილობენ დამოუკიდებლობის მოპოვებას, მაგრამ მათი ეს მცდელობები რატომღაც სეპარატიზმადაა შეფასებული.

კატალონიის დამოუკიდებლობის მოთხოვნით რეფერენდუმის ჩაფლავების ამბავი პიკეს ძალიან მძიმედ გადაუტანია. პიკეს და კატალონიელი სეპარატისტების მრავალ მხარდამჭერს იმედი ჰქონდათ, რომ საწადელს მიაღწევდნენ, მაგრამ შოტლანდიის რეფერენდუმის შედეგებმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა და კატალონიელებიც შედრკნენ.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ფეხბურთი

კუმანმა ჰოლანდიის გაწვრთნაზე უარი განაცხადა

ინგლისური „საუთჰემპტონის“ მთავარმა მწვრთნელმა რონალდ კუმანმა განაცხადა, რომ იგი ჰოლანდიის ეროვნულ ნაკრებში გუს ჰიდინკის შეცვლას არ აპირებს.

„ნარინჯისფერები“ ევროშესარჩევის სტარტს ცუდად შეხვდნენ — ჰოლანდიელებმა სამიდან ორი შეხვედრა წააგეს და ნიდერლანდურმა მედიამ ჰიდინკის შემცვლელად რონალდ კუმანი მოიაზრა.

„საუთჰემპტონის“ მწვრთნელი ვარ და გუს ჰიდინკის წასვლის შემთხვევაშიც კი არ ვუხელმძღვანელებ ჰოლანდიის ნაკრებს. „ნარინჯისფერების“ ასპარეზობით ძალიან იმედგაცრუებული ვარ. ჰიდინკმა ევრო-2016-ის შესარჩევი ეტაპი ცუდად დაიწყო და ფინალურ ეტაპზე გასასვლელად დიდი ძალისხმევა დასჭირდება.“ — განაცხადა ჰოლანდიელმა სპეციალისტმა.

ჰოლანდიის ეროვნულ ნაკრებს ევროშესარჩევის მომდევნო ტურის მატჩი შინ ლატვიის წინააღმდეგ 16 ნოემბერს ელის.

გიორგი შოთაძე

◎ ვაიმე, ენავ!

რუბრიკას უძღვება მურმან თავდიშვილი

ნანუკდოტები,

ანუ ნანუკა ჟორჟოლიანის დოტები

ნანუკა ჟორჟოლიანის შოუ, მართალია, ოთხშაბათობით გადაიცემა („რუსთთვი-2“ 22.00), მაგრამ იმდენ უქართულო ქართულს აფრქვევს, ენობრივი თვალსაზრისით მოსახლეობის მოწამვლას მთელი კვირით ახერხებს. კი, ბატონო, ეს გადაცემა წმინდა წყლის ბეუტურია, რომელიც არც გონებას, არცა გრძნობას, არც არაფერს აძლევს, ოღონდ ქართულად გამართული მაინც იყოს!

1 ოქტომბრის ნანუკდოტები ასე გამოიყურებოდა:

ფაქტიურადო — უნდა ეთქვა **ფაქტობრივად;**

თქვენი ისტორია დასრულდაო — ჩვენმა ჟურნალისტებმა არ იციან, რომ **ისტორია** აქვს სახელმწიფოს, ქვეყანას, მაგალითად, რომლის ისტორია, საქართველოს ისტორია, ოღონდ არ შეიძლება **„ადამიანის ისტორია“**. უნდა თქმულიყო **ამბავი**. მაშ **„ერთი სიყვარულის ისტორია“** კი არა, არამედ **„ერთი სიყვარულის ამბავი“**. კიდევ უკეთესია ამრიგად თქმა: **„ამბავი ერთი სიყვარულისა“**. ნანუკდოტი რომ არ გამოსულიყო, უნდა ეთქვა ასე: **„თქვენი ამბავი დასრულდაო“**. გაიხსენეთ რუსთველი: „გასრულდა ესე ამბავი“...

გაუგებარ-ჩიქორთულია: **„სპეციალურად არ მოვჭრი ამ ადგილს“**.

ჯერ ერთი, ვინ გექაჩება ტრუსიკის ტოტზე, მაინცდამაინც უცხოური სიტყვა თქვიო?! შე კაი კაცო (ქალო), გამოიყენე ქართული ცნება: **საგანგებოდ**.

ჟურნალისტს ამ მხრივ არც სტუმარი ჩამორჩებოდა, იგი, შესაძლოა, ცუდად მეტყველებდეს, ოღონდ ჟურნალისტს ვალდებულება აწევს, გამართულად ლაპარაკობდეს.

წამყვანმა ორჯერ გაიმეორა სიტყვა **ტრამვა**. არადა უნდა ეთქვა **ტრავმა**. პირველი ბიგელების საშუალებით დარახრახებს, მეორე სულიერი ან ფიზიკური დაეჟილობაა!

მთლად გამაოგნებელი უმეცრება ეს იყო: **„მაგრამ კონტაქტობთ?“**

ასეთი ფორმა ჩვენმა მეტყველებამ არ იცის.

ნანუკდოტი ასე გასწორდება: **„მაგრამ კონტაქტი გაქვთ დამყარებული?“ ანდა: „ერთმანეთთან ურთიერთობა გაქვთ?“**

გაურკვეველი ეროვნებისა და სქესისაა ეს გამოთქმები: **„ჩემგან საუბარი არ არის სწორი“; „მინდა, შენსკენ ყველაფერი კარგად იყოს“.**

ჟურნალისტმა ბრძანა და სტუმარმაც გაიმეორა მცდარი ფორმა **რაღაცეებში.** მართებულია **„რაღაცებში“** (გამოიყენება ერთი „ე“).

რა თქმა უნდა, **მყარი** ნანუკდოტებია: **„იმიტომ, რომ მოგივიდეს მუზები“; „კომენტარებითაც შეიძლება იყო“.**

მყარი ნანუკდოტების გვერდით თავს კარგად გრძნობენ **გამოუსწორებელი** ნანუკდოტები: **„დენის ქვითრის გადახდა“; „მერე მომწყინდა და მივატოვე აღრიცხვა“.**

განსაკუთრებით სახოხმარიკო ეს გამოთქმები:

„ზედმეტად მალე“ და **„ყველაზე განსაკუთრებული თვისება რა აქვსო?“**

ჟურნალისტი აზრზე არაა, რას ამბობს!

„ზედმეტად მალე“ მეტისმეტად დიდი ნანუკდოტია.

ქართველი იტყვის: **„ძალიან მალე“;** „განსაკუთრებული“ კი სწორედ ის ეპითეტია (განსაზღვრებაა), რომელსაც წინ დაკოსებული „ყველაზე“ ისე სჭირდება, როგორც კურდღელს — სტოპსიგნალი! **განსაკუთრებული** არავითარ წინარე ეპითეტს არ საჭიროებს) მაშ, უნდა ეთქვა: **„განსაკუთრებული თვისება რა აქვს?“** უფრო უკეთესი იქნებოდა — **„რა განსაკუთრებული თვისება აქვს?“**

მცდარია გამოთქმა: **„იქნებ შენშია პრობლემა?“**

შენში „შკაფი“ კი არაა, რომ პრობლემა მასში იდოს! ფრაზა ასე გაიმართება: **„იქნებ, შენა გაქვს პრობლემა?“ „იქნებ, პრობლემებს შენა ქმნი?“**

გვაქვს სიტყვა **რომანტიკა,** სუფიქსის დართვისას გვექნება **„რომანტიკ-ულ-ი“**. ამიტომ არასწორია მეტიჩრულ-გატრიზავებული **„რომანტიული“**.

გაიუღერა ფრაზამ: **„დედასაც გვიან უთხარი ეს მბავი“.**

ამ სტილისტურ შეცდომას ნანუკდოტების მფრქვეველი ვერასოდეს მიხვდება, თუ არ განვუმარტეთ: „უთხარი“ აქ ყოვლად მიუღებელია, არადასაღირალია. უნდა ეხმარა ზმნა **შეატყობინე.** მაშ, ასე: **„დედასაც გვიან შეატყობინე ეს ამბავი“.**

ყველა ნანუკდოტის განხილვა შეუძლებელია — ამას არც ძალა ეყოფა, არც დრო და არც საგაზეთო ფართი.

განსაკუთრებით საინტერესო და სახოხმარიკო ნანუკდოტებს კი მომდევნო ჯერზე შემოგთავაზებთ.

◎ ინფორმაცია

„თბილისობა“ წელს საკრებულოს შენობის გახსნით დაიწყება

როგორც საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ალიბეგაშვილმა აღნიშნა, შენობის გახსნას საკრებულოს წევრები, მოწვეული სტუმრები და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრებიან.

თბილისის საკრებულოს შენობა XIX საუკუნის დასაწყისშია აშენებული და მან რეკონსტრუქცია რამდენჯერმე განიცადა. რაც შეეხება ცნობილ ისტორიულ დარბაზს, ის 1886 წელს რეკონსტუქციის შემდეგ აშენდა და მის გაფორმებისას ქართული ნაციონალური არქიტექტურის ელემენტები იყო გამოყენებული.

თბილისობის ფარგლებში, სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, სპორტული შეჯიბრებები, ქართული და ეთნიკური უმცირესობების ხალხური შემოქმედების კონცერტები და გამოფენა-გაყიდვები, ასევე სასოფლო-სამეურნეო ბაზრობები გაიმართება.

ამავე დღეს სხვადასხვა სფეროში მოღვაწე გამოჩენილ ადამიანებს თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭებათ.

სანთელი

ნუნუ გამცემლიძის ხსოვნას

20 ოქტომბერს ერთი წელი სრულდება, რაც განერიდე ამქვეყნიურ ცხოვრებას და დაემკვიდრე იმქვეყნიურ საუფლოში, დაგვიტოვე დიდი ტკივილი.

ზედმეტია მეტაფორებით გამოვხატოთ სიმძიმე შენთან განშორებისა, შემაკავშირებელი დუღაბი იყავი შენი მრავალრიცხოვანი ოჯახისა და სანათესაო-სამეგობრო. გულწრფელი ცრემლი გაგყვა იმათი, ვისთანაც ურთიერთობა გქონდა.

ჩვენი გაუნელებელი ტკივილი და მონატრებული სახება ხარ, შენზე მოგონებებით ვცოცხლობთ შენი საყვარელი ოჯახი, შთამომავლობა. ღმერთს შევთხოვთ, სასუფეველში გამყოფოს, საყვარელო ადამიანო.

შენი გურამ, გოგი, კოკა მგელაძეები, შვილიშვილები, შვილთაშვილები

მზია, ზეინაბ, მედეა, გიორგი წინწკალაძეები, ზურაბ, ლია ველიჯანაშვილები, ვენერა მჭედლიშვილი, დავით მელიქიძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რობერტ მელიქიძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

◎ კრიმინალი

ამოღებულია 1700 აბი ნარკოტიკული საშუალება

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის პირველი მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 1981 წელს დაბადებული, ოთარ რ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით მარნეულში დააკავეს.

შს სამინისტროს ინფორმაციით, ოთარ რ. წარსულში ორჯერ ნასამართლევია და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ იმყოფება.

სამართალდამცველებმა დაკავებულის ავტომანქანის ჩხრეკისას 1700 აბი ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებულია 17 გრ კოდეინის შემცველი პრეპარატი „პირალგინი“. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

◎ მშობლებო, ყურადღებით წაიკითხეთ!

გენიოსები, რომლებსაც წერა-კითხვა უჭირდათ

გადმოცემის თანახმად, მოცარტი გაჭირვებით კითხულობდა, არც ჩერჩილის კითხვის ტექნიკით იყვნენ მასწავლებლები აღფრთოვანებულნი, ასევე მოიკოჭლებდა კითხვაში სიმდიდრით ცნობილი როკფელერი. სამივეს ერთი პრობლემა ჰქონდა — დისლექსია.

როგორ მოახერხეს მათ წარმატების მიღწევა, დღესაც გამოცანაა. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ სწორედ „დარღვევაა“ ხშირად გენიალურობის მანიშნებელი. მათი ტვინი სხვაგვარად არის მოწყობილი, შესაბამისად, იდეებიც სხვანაირი მოსდით, გენიალური.

როცა ნაკლი უპირატესობაა

აინშტაინი, ლეონარდო და ვინჩი, ნიუტონი და ფარადეი ძალიან ცუდად კითხულობდნენ და არითმეტიკასთანაც მწყრალად იყვნენ.

აინშტაინი ცუდად სწავლის გამო სკოლიდანაც გარიცხეს. ამის მერე ბიჭუნას აღზრდას ბიძამ მოკიდა ხელი, რომელიც ხედავდა, რომ ბავშვი ლამის ჩვილობიდან ავლენდა ფიზიკისადმი ინტერესს. სწავლა ადვილი არ ყოფილა, მაგრამ გენიოსობა ხომ ისაა, რომ მსოფლიო აიძულო, გადახედოს დადგენილ წესებს და განავითაროს.

ეს გენიოსები ძლიერი წარმოსახვითი და სივრცითი აზროვნების უნარით იყვნენ დაჯილდოებულნი. ეს უნარები დაეხმარათ მათ დიდი აღმოჩენების გაკეთებაში.

ცნობილმა დისლექსიკმა და დისგრაფიკმა (კითხვისა და წერის უუნარობა) ედისონმა ფონოგრაფი გამოიგონა, რათა ინფორმაციის გადმოცემის ეს მტანჯველი ხერხები თავიდან აეცილებინა.

დისლექსია მხოლოდ მეცნიერთა პრობლემა არ არის. ჰოლივუდის ბევრმა ვარსკვლავმა ნორმალურად კითხვა და ანგარიში არ იცის. ამიტომ როლებს ხმით სწავლობენ. ვინ არიან ეს ცნობილი მსახიობები? სალმა ჰაიეკი, კიანუ რივზი, ვუპი გოლდბერგი, მერილინ მონრო, ტომ კრუზი, გაი რიჩი, შერი, დასტინ ჰოფმანი...

სამსახიობო ხელოვნება ის სფეროა, რომელიც დისლექსიკებს, დისგრაფებსა და დისკალკულიტებს (ანგარიშის უუნარობა) თვითრეალიზების საშუალებას აძლევს.



როგორ წესი, ასეთი ხალხი შემოქმედებითად კარგად არის განვითარებული. მათ წარმატებაში კი მშობლებს უდიდესი წვლილი მიუძღვით — მათ შეძლეს და თავიანთ „პრობლემიან“ შვილებში ძლიერი მხარეები დაინახეს, შემდეგ კი განავითარეს ეს ძლიერი მხარეები.

თუ ასეთ ბავშვებს სკოლაში ხელს არ შეუწყობენ, დასცინებენ, ტრავმას მიაყენებენ, საეჭვოა, რომ წარმატების მიღწევა შეძლონ.

ნაკლი ნებისყოფას წვრთნის

ბევრი წარმატებული ადამიანისთვის მსგავსი პრობლემები ხასიათის ჩამოყალიბების, ნებისყოფის განმტკიცების მოტივად იქცა. მათი წყალობით ისწავლეს სიძნელეების გადალახვა და საკუთარ თავზე მუშაობა.

მაგალითად, ცნობილმა მეზღაპრემ ჰანს ქრისტიან ანდერსენმა კითხვა 10 წლის ასაკში ისწავლა, ნორმალურად წერა კი ცხოვრების ბოლომდე ვერ აითვისა. ხელნაწერი რამდენჯერმე დაუბრუნეს უკან, რათა გამართულად და გასაგებად დაეწერა. ის ბევრს შრომობდა, წერდა და წერდა, თუმცა, ძალიან უჭირდა. საბოლოოდ კი დადგა ის, ვინც დადგა.

დაახლოებით იგივე პრობლემები ჰქონდა მსოფლიო დეტექტივების „დედოფალს“ — აგატა კრისტის. მას დისგრაფია აწუხებდა და დიდი დრო დასჭირდა იმის დასამტკიცებლად, რომ დებილი არ იყო. რედაქტორები ამრეზით უყურებდენენ და მოითხოვდნენ, უფრო გასაგებად წერეო. კიდევ კარგი, რომ ფარ-ხმალი არ დაყარა და რედაქტორებამდე მიიტანა თავისი წიგნების გენიალურობა. აი, ეს არის მტკიცე ნება.

ასე რომ, ნუ იჩქარებთ და ნუ წაეჩხუბებით შვილს ცუდი ხელწერის ან „ბლუკუნით“ კითხვის გამო. დაეხმარეთ ყველანაირად, რომ განვითარდეს. თუ პრობლემა სერიოზულია, მიმართეთ სპეციალისტს და ის გირჩევთ, როგორ მოიქცეთ. თუმცა, ფარ-ხმალი არც ამ შემთხვევაში უნდა დაყაროთ - ყველა ადამიანს აქვს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები, ნიჭი, რომელსაც აუცილებლად სჭირდება დანახვა და განვითარება. სწორედ ამაშია მშობლის ერთ-ერთი ყველაზე რთული და აუცილებელი ამოცანა. ვინ იცის, იქნებ თქვენი შვილი, რომელიც ახლა ვერ გახარებთ ათიანებით და სწრაფი აზროვნებით, სინამდვილეში სულ სხვა სფეროშია ნიჭიერი და მომავალი გენიოსიც კი გყავთ გვერდით?

მოამზადა

ნინო კალატოზიშვილმა

◎ ტრაგედია

მაკა წივწივაძე საავადმყოფოში გარდაიცვალა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი მაკა წივწივაძე გარდაიცვალა. მაკა წივწივაძეს რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაუდებელი ოპერაცია უტარდებოდა, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. მაკა წივწივაძეს რამდენიმე საათის წინ „ილიაუნში“ ყოფილმა ქმარმა ესროლა, შემდეგ კი თავი მოიკლა. ის „ბრიტანული საბჭოს“ თანამშრომელი იყო, რომელიც „ილიაუნის“ სტუდენტებს ინგლისურ ენას ასწავლიდა.

არსებული ინფორმაციით, ის ყოფილმა ქმარმა ლექციიდან გამოიყვანა და ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით თავის არეში რამდენიმე ჭრილობა მიაყენა.

წივწივაძე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანა, თუმცა, ექიმების შეფასებით, მისი მდგომარეობა უკიდურესად მძიმე იყო, რის გამოც პაციენტის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

რედაქცია
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
568 82-09-84.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

დაძალი დაქალს:

— ძვირფასო, შენ ქმართან რომ ღამე გავატარო, მეგობრებად ისევ დავრჩებით?

— არა!

— ესე იგი მტრებად ვიქცევით?

— არა!

— აბა?

— ბარი-ბარში ვიქნებით.

* * *

სჯობს გვიან ვიდრე არასდროს! — ჩაილაპარაკა მოხუცმა ებრაელმა, თავი ლიანდაგზე დადო და თვალი გააყოლა ჩავლილ მატარებელს.

* * *

ჩვენ ამას მთელი ღამე ვაკეთებდით ჯერ საძინებელში, შემდეგ აბაზანაში, გავაგრძელეთ სამზარეულოში, შემდეგ მისაღებში და ა. შ. და ა. შ. რას იზამ, რემონტი რემონტია, დროზე უნდა მორჩე.



* * *

დედა სამზარეულოდან ეძახის ქალიშვილს საძინებელში.

— მაშა, ხელოსანი აბაზანაში ონკანს ცვლის, ნახე თუ გაათავა?

— ჯერ არა დედა, არ გაუთავებია, მაგრამ ღრმად სუნთქავს და ოფლიც დაასხა.

* * *

— **ვაიმე**, მარო, შენი ქმარი მეათე სართულიდან გადმოვარდა!!!

— ეგ არაფერია, მეთორმეტედანაც გადმოვარდნილა.

სპანგოროდი

1. იმპერატორ აკიჰიტოს ცოლი
2. მუხლის მოდრეკა ლოცვისას
3. კუნთების მოდუნება
4. იტალიელი რეჟისორი
5. ქალთა ცეკვა
6. ფრანგი მომღ.ქალი
7. ნაწარმოების მითვისება
8. დას.სამოას დედაქალაქი
9. ლითონი (ზოგადად)
10. რიგითი მეზღვაური
11. განცხადება კონცერტის შესახებ
12. ძვირფასი ქვა
13. მუშაობის ერთეული
14. საარტილერიო ქვეგანაყოფი
15. კლასიკურ ნაწარმოებთა ერთობლიობა
16. სტილი არქიტექტურაში
17. ესპანელი კომუნისტი ქალი
18. ინდის ხურმა
19. სიცილიური ორგანიზაცია
20. მთავარი არტერია
21. რეგვენი, ბრიყვი
22. აკუნინი - „თურქული ...“
23. მსხვილი კაპიტალისტი
24. ციხე-ქალაქი ისტ.სამხ.საქართველოში
25. ზნე, ხასიათი
26. სატანვარჯიშო იარაღი
27. სოფელი მცხეთის რაიონში
28. სომხური გვარების ნაწილაკი
29. რუსი პიანისტი
30. ჩაღრმავებული ჭურჭელი წვნიანისათვის
31. ტაბლეტი
32. ვაშლის ჯიში
33. რუსთავი-2-ის სპორტ.კომენტატორი
34. დათვი „მაუგლიდან“
35. სინდისზე ხელაღებული
36. ძალიან იშვიათი
37. იაპონური ალუბალი
38. მდინარე გერმანიაში
39. დასასრული (გერმ)
40. დროშა
41. სათამაშო კუბის ავტორი
42. მწერის განვითარების სტადია
43. მალვინას ძაღლი
44. ფრანგ. მანქანა
45. საუზმის დრო
46. სანიავებელი
47. ალანი
48. გეოდეზიური იარაღის ნანილი
49. ოპტიკური მინა
50. „ჩოჩარას“ ავტორი
51. ქართვ. გოგონათა ანსამბლი
52. მოგზაური ... სევერინი
53. გაზაფხულის ყვავილი
54. ფრანგ.„უცნობი“ ასო
55. ... ჰეპბერნი
56. პატარა სასიმღერო ლექსი
57. ჭადრაკის ფიგურა
58. ყნოსვის მოშლა
59. ქართ. გაზეთი
60. გაერთიანება
61. შეძახილი კორიდაზე
62. ფრანგ. მომღ.ქალი
63. პოლონური ფული
64. ნახვამდის (იტალ)
65. მსახ. ...ბოვა
66. ... დელონი
67. ისტ. ოლქი მცირე აზიაში
68. ტროპიკული ხილი
69. პირველი ქართვ.ქრისტიანი მეფე
70. სასიმინდე
71. „წყლის სანიტარი“ მოლუსკი
72. სკანდინავიელი ქალბატონი
73. ფრანგი მწერალი ქალი
74. სლოვენიური ტექნიკის ფირმა
75. აქილევსის სუსტი ადგილი
76. მომღ... ფიცჯერალდი
77. შექსპირის დრამა

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24